

„ა იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

აბულაძე ქეთინო

სახელთა წარმოების საკითხი ნ.დუმბაძის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - თალიკო ბერიძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

ნაშრომში „ სახელთა წარმოების საკითხი ნ. დუმბაძის შემოქმედებაში“ საუბარია, ნოდარ დუმბაძის ენობრივ თავისებურებაზე, კერძოდ სიტყვათწარმოქმნაზე.

საზოგადოდ, ნებისმიერ მწერალს თუ შემოქმედს, თავისი სტილი და ინდივიდუალურობა უნდა ჰქონდეს. მწერლის შემოქმედებაზე საუბარი კი მისი ენობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ენობრივთავისებურებათა ერთ-ერთი გამოვლინება კი სწორედ სიტყვათწარმოქმნაა. შესაბამისად, ნაშრომის მიზანს სწორედ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში წარმოქმნილ სახელებზე დაკვირვება, მათი გამოყოფა და კლასიფიკაცია წარმოადგენს. ავტორი მაქსიმალურად იყენებს ენის ლექსიკურ შემადგენლობას, რათა გააძლიეროს მხატვრული ნაწარმოების ემოციური ძალა.

მწერლის ენაზე ძლიერი ზეგავლენა იქონია გარემომ, სადაც იზრდებოდა. საოცარი ჰარმონიით ერწყმის ცოცხალი მეტყველება, სალიტერატურო ენას. ნოდარ დუმბაძის ენა იმდენად უშუალო და გასაგებია, რომ მისი თხზულებები ერთნაირად უყვარს ყველა ასაკის ადამიანს.

საკვლევი თემა აქტუალურია, განსაკუთრებით ჩვენს თანამედროვეობაში, რადგან სიტყვაკაზმული ქართული ენა დღეს გაღარიბებულია და თანდათან იკარგება ძირძველი ეროვნული ლექსიკური ერთეულები. ასეთ პირობებში ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის განხილვა, როგორც სიტყვათწარმოქმნა, განსაკუთრებით კი, კლასიკოსი მწერლის, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში.

ნაშრომში წყაროებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები, მოყვანილია მაგალითები.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შესავალს, 13 პარაგრაფს, დასკვნებს, შემოკლებათა განმარტებასა და გამოყენებული ლიტერატურის დასახელებას.

Annotation

The paper “Word Formation in Nodar Dumbadze’s Creative Works” concerns to the writer’s linguistic peculiarities, in particular, wordbuilding issues.

Generally, any writer or creator should have his/her own style and individuality. Talking about the creative works of a writer is impossible without taking into consideration the linguistic peculiarities of the author. Word formation can be considered as one of the ways to reveal the linguistic originality of any language. Accordingly, the aim of the paper is to observe, distinguish and classify the formation of certain parts of speech in Nodar Dumbadze's works. The author makes maximum use of the lexical composition of the language to enhance the emotional power of the work of art.

The environment in which the writer grew up had a strong influence on his vocabulary. There is an amazing harmony in the confluence of living speech with the literary language. Nodar Dumbadze's language is so frank, direct and understandable that his works are equally loved by people of all ages.

The research topic is relevant, especially in our time, because the word-painting Georgian language is impoverished today and the native national lexical units are gradually being lost. In such conditions, we think it is important to discuss such an issue as word formation, especially in the creative works of the classic writer Nodar Dumbadze.

Based on the analysis of sources and research results in the paper, the conclusions are drawn, examples are given.

The paper includes an annotation (in the Georgian and English languages), an introduction, 13 paragraphs, conclusions, an explanation of abbreviations and a title of the literature used.

შინაარსი

1. შესავალი	1-5
2. §1. კნინობითი სახელები	6-8
3. §2. კონების სახელები	8-20
4. § 3. უქონლობის სახელები	20-25
5. § 4. წარმომავლობის სახელები	25-31
6. § 5. აბსტრაქტული სახელები	32-36
7. § 6. დანიშნულების სახელები	36-40
8. § 7. წინა ვითარების სახელები	41-42
9. § 8. ხელობის სახელები	43-44
10. § 9. რიგობითი და წილობითი სახელები	44-46
11. § 10. გეოგრაფიული სახელები	46-48
12. § 11. ხარისხის სახელები	48-50
13. § 12. მცენარეთა კრებულის სახელები	50-51
14. § 13. უცხო აფიქსიანი სახელები	51-52
15. დასკვნები	53-60
16. შემოკლებათა განმარტება	61-62
17. გამოყენებული ლიტერატურა	63-64

შესავალი

წარმოქმნა ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. საზოგადოდ, წარმოქმნა, ანუ ახალი ლექსიკური ერთეულის მიღება ხდება მარტივი სიტყვისგან. მარტივი ეწოდება სიტყვას, რომელიც შედგება ერთი ძირისაგან, რასაც შეიძლება თან ახლდეს გარკვეული დანიშნულების მორფემა და ფლექსიაც (ღლონტი, 1971, 104).

სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვათწარმოება სათანადოდაა დამუშავებული და შესწავლილი. ამ კუთხით ფასდაუდებელია აკაკი შანიძის ღვაწლი, რომელმაც თავის ნაშრომში „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (1980) დაწვრილებით აღწერა, წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები და სათანადო მაგალითების დართვით მეტად აღქმადი და გასაგები გახადა საკითხი.

საკითხის შესწავლაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ალ. ღლონტს იგი ნაშრომში „ ქართული ლექსიკოლოგია“ (1964) სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ეხება ქართული სიტყვათწარმოების საკითხსაც.

ქართველური ენების, სიტყვათწარმოების ცალკეულ საკითხებს შეეხო ვარლამ თოფურია თავის შრომებში „ შრომები III, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ენათმეცნიერების ინსტიტუტი (1979).

წარმოქმნილ სახელებს შეეხო ლ. კვაჭაძეც ნაშრომში -„ქართული ენა“, I, (1981). ავტორი - ერთად აჯგუფებს წარმოქმნილ არსებით სახელებს ფორმისა თუ შინაარსის მიხედვით.

წარმოქმნილ სახელთა ერთ-ერთ ჯგუფს, კერძოდ: ხარისხის სახელებს, საკმაოდ ვრცელი და საინტერესო დისერტაცია მიუძღვნა თ. ზურაბიშვილმა -„ ხარისხი ქართველურ ენებში“ თსუ შრ. (1956).

აგრეთვე ცალკე შრომა უძღვნა აბსტრაქტულ სახელებს ბ. ცხადაძემ „ აბსტრაქტულ სახელთა ურთიერთობისათვის ქართულში“ (1983).

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ყურადღება გამახვილებული აქვს ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (1974). ავტორი რიგი ლექსიკოლოგიური საკითხის გვერდით, საუბრობს სიტყვათწარმოებაზეც და სემანტიკურ ჯგუფებში ნაწარმოებ ფორმებზე ამახვილებს ყურადღებას.

სიტყვათწარმოების ცალკეულ საკითხებს შეეხო შემდეგი მეცნიერები: არაბული ა. „ ზმნური და სახელური ფუძედქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“ (2001); გეგუჩაძე ლ. „ქართული ენა“ (1997); გაბეჩავა გ. „ ქართული სიტყვათწარმოება და მისი სწავლება სკოლაში“ (1971); ინგოროყვა ვ. „ ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი) თხზულებათა სრული კრებული“ I,(1951); მელიქიშვილი ნ. „ სიტყვათწარმოება იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა სიძველეთას“ ქართულ თარგმანში“ (1981); ოსიძე ეკ. „ მიმღეობის წარმოება ქართულში“ (1957); შალამბერიძე გ. „ სიტყვათწარმოების ზოგიერთი საკითხი ჭავჭავაძის ენაში“(1966); ჩიქობავა არნ. „ სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942).

აგებულების მიხედვით მარტივი სიტყვა ორი სახისაა: ძირეული და ნაწარმოები, ხოლო წარმოქმნილი სიტყვა შედგება ძრისა და დერივაციის ანუ საწარმოქმნო მორფემებისაგან. ქართულში მარტივი სიტყვა შედგება ძრის, ფუძისა და სართისაგან. სიტყვის დაუშლელ ნაწილს ძირი ეწოდება, რომელზედაც დაფუძნებულია სიტყვის ძირითადი მოდელი. „ძირი წარმოქმნილ სიტყვათა საერთო მნიშვნელია, აფიქსთა მიმატებით იგი ახალ მნიშვნელობას იძენს. აფიქსთა მნიშვნელობის ერთი ძრისაგან ათეულობით ახალი სიტყვა მიიღება“ (ღლონტი, 1971, 105).

წარმოქმნილ სახელს აქვს ფუძე, რომელიც ძირეულზე მეტია და მნიშვნელობით განსხვავდება მისგან. ძირეულის ფორმაცვალებას იმეორებს წარმოქმნილი სახელი ბრუნვათა მიხედვით და და ამ გზით მიღებული ცვლილება მას უნდა გასდევდეს ყველა ბრუნვის ფორმაში თუ არა უმეტესობაში მაინც.

საზოგადოდ, სახელს ორნაირი ცვლილება მოუდის - ფლექსია(მიმოხრა) და დერივაცია (წარმოქმნა). სახელის მიმოხრას ბრუნება ეწოდება“ (შანიძე, 1989, 108). გრამატიკულად განსხვავებულია სახელის ბრუნების დროს მიღებული ფორმები, მაგრამ ლექსიკურად ერთია, ხოლო წარმოქმნით მიღებული ფორმები კი ერთია

გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად, რაც იმას ნიშნავს, რომ დერივაციის (წარმოქმნა) გზით სახელის ფუძისაგან მიღებული ერთეულები, ისევე ფუძეა, მაგრამ სხვა სახელისა, რომელსაც მნიშვნელობა სხვა აქვს. ძირეულია სახელი, რომლის ფუძისგანაც სხვა სახელია ნაწარმოები, ხოლო წარმოქმნილია როცა ერთი სახელისაგან სხვა სახელია მიღებული. „ძირეულიც და წარმოქმნილი სიტყვაც ლექსიკურად ერთ ერთეულს შეადგენს, ოღონდ მნიშვნელობით ისინი განსხვავდებიან“ (ლლონტი, 1971: 104).

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად ქართულ ენაში გამოყენებულია პრეფიქსები და სუფიქსები, როგორც ცალ-ცალკე ასევე ერთად, თითოეულ აფიქსს გარკვეული ფუნქცია აქვს და ამის გამო ტიპოლოგიურად აგლუტინაციური ხასიათისაა ქართული სიტყვათწარმოქმნა. ქართულ აფიქსებში შეინიშნება ფლექსიური კვალიც (ორ და მეტ ფუნქციურობა), თუმცა ეს ლინგვისტიკაში სურათს ვერ ცვლის.

ქართულ ენათმეცნიერებაში სიტყვათწარმოსაქმნელად გამოიყენება დერივანტები. დერივანტად გამოყენებული პრეფიქსები რაოდენობით ცოტაა, თუმცა დიდად პროდუქტულია, პრეფიქსი დერივანტი ან ცალკე გამოიყენება, ან სუფიქსთან ერთად. დერივანტად გამოყენებული სუფიქსები გაცილებით მეტია, შესაბამის პრეფიქსებზე და ზოგიერთი მათგანი პრეფიქსებთან შეწყვილებულიცაა.

წარმოქმნილი ფუძე შინაარსით სხვადასხვაგვარია, ერთი თანრიგიდან, გადადის მეორეში. „ წარმოქმნილი სიტყვებიდან გამოიყოფა თანდებულებითა და ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები, ხარისხის, ნამყოფობის, აბსტრაქტული, დანიშნულების, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, მოსაქმეობის, კნინობითი სახელები, ზმნები და სახელზმნები“ (ლლონტი, 1971:108).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დერივაციის ადგილის განსაზღვრისათვის გრამატიკოსებს შორის განსხვავებული შეხედულებაა. ზოგადად კამათი მიდის იმაზე , წარმოქმნა ანუ დერივაცია გრამატიკის საგანია თუ ლექსიკის?

წარმოქმნა ისეთი გრამატიკული პროცესია, რომელიც გრამატიკულ წესებს არ ექვემდებარება. გრამატიკას საქმე აქვს არა მნიშვნელობის მიხედვით

მოდისტიკასთან, არამედ მისი ბრუნებისა და უღლების მიხედვით ცვლასა და სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულება-შეკავშირებასთან. „გრამატიკა სიტყვას განიხილავს, როგორც მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ოდენობას და არა როგორც ენის ერთეულს. მორფოლოგიურად სიტყვა არის ფორმაცვალებადი ბგერათკომპლექსი, ხოლო სინტაქსურად - წინადადების წევრი. სიტყვის სემანტიკურად ცვლა ძირის ან ფუძის შინაარსობრივი ვითარებაა, აფიქსთა ფუნქციები გრამატიკის ფარგლებს გარეთ რჩება, აქედან გამომდინარე სიტყვათწარმოქმნის შესწავლა არა გრამატიკას, არამედ ლექსიკოლოგიას საგანი“ (დლონტი, 1971:106).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ტერმინი „წარმოქმნა“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება. არსებობს განმარტება ამ ცნების ვიწრო გაგებით „ წარმოქმნა არის ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნა არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და მისი დახმარებით. ამ შემთხვევაში იგი განიხილება, როგორც რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვების აგების ტექნიკას. ქართველი ლინგვისტები, მაგ: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე წარმოქმნას ძირითდად მორფოლოგიაში აერთიანებენ, თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილი, მაგალითად: არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩვა და სხვა მას ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში მოიაზრებენ. აღნიშნულ მოსაზრებებს მომხრეები უცხოელ ლინგვისტთა შორისაც ჰყავს. უცხოელ ლინგვისტთა შორის, თანდათანობით იზრდება იმ მოსაზრების მომხრეთა რიცხვი, რომლის მიხედვითაც წარმოქმნა განხილულ უნდა იქნას, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც აქვს კველევის საკუთარი სფერო და ობიექტი, აღნიშნული მოსაზრება კი განაპირობებს წარმოქმნის, მეორე უფრო ფართო გაგებას, რომლის თანახმად, იგი შედის არა სინტაქსის ანუ ლექსიკოლოგიის სფეროში, არამედ წარმოადგენს, დამოუკიდებელ, შედარებით ავტონომიურ ენობრივ დონეს. მიუხედავად წარმოქმნის სინტაქსური ხასიათისა, რის გამოც მას სინტაქსური კვლევის ობიექტად მიიჩნევენ. წარმოქმნით კონსტრუქციებს ახასიათებთ თვისებები, რომლის აღწერაც სინტაქსის საშუალებით შეუძლებელია. ესენია: ისტორიულობა, იდიომატიზაცია და ლექსიკურობა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წარმოქმნა ემყარება, მორფოლოგიურ,

სინტაქსურ და სემანტიკურ წესებს. წარმოქმნის შედეგი კი საჭიროებს კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს.

არსებობს შუალედური შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც წარმოქმნა იკვლევს ახალი სიტყვების წარმოებას, წესებს, რომელთა საშუალებითაც ეს სიტყვები იწარმოებიან და აღწერს განსაზღვრულ ნიმუშებსა და მოდელებს.

ამრიგად, ეს სფერო სხვადასხვა დისციპლინებს შორის დგას, ერთი მხრივ სინტაქსსა და მეორე მხრივ, მორფოლოგიას შორის და რადგან წარმოქმნითი პროცესები ზეგავლენას ახდენენ ასევე სიტყვის მნიშვნელობაში იგი ლექსიკოლოგიასთანაც არის დაკავშირებული.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ნოდარ დუმბაძის ენაზე დაკვირვება და მის შემოქმედებაში ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოსაქმნელად გამოყენებული სხვადასხვა მაწარმოებელი აფიქსების გამოყოფა-შესწავლა. დუმბაძის ენაში წარმოქმნის გზით უამრავი ახალი ლექსიკური ერთეულის დამამკვიდრებელი მწერალია. რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა, რომელმაც სრულყოფილი სახე მისცა როგორც მხატვრულ პროზას, ასევე -პოეზიას.

ნაშრომში წარმოდგენილია თუ როგორ იყენებს დუმბაძე სადერივაციო საშუალებებს და გამოყოფილია მათი მეშვეობით წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები. ზოგადად როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართული ენა, საკმაოდ რთული ენაა, მასში გარკვეულ ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა დიალექტური ნაირსახეობები, გარდა ამისა გარკვეულ ზეგავლენას ქართველური ენებიც ახდენენ და სწორედ ამ ერთობლიობის შედეგია, ქართული სალიტერატურო ენა. ნოდარ დუმბაძე თავის ნაშრომებში ცდილობს და შესანიშნავად გამოსდის კიდეც ერთმანეთს შეუთავსოს დიალექტური მეტყველება და სალიტერატურო ენა. გარკვეულ შემთხვევებში წარმოქმნის მხრივაც შეინიშნება დიალექტური მეტყველების გავლენა.

§ 1. კნინობით სახელები

წარმოქმნილ სახელებში გამოიყოფა ერთი წყება სახელებისა, რომლებსაც კნინობითი სახელები ეწოდება. მოფერებით-კნინობითი ისეთ წარმოქმნილ სახელებს ჰქვიათ, რომლებიც ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს, ან მოფერებით აღნიშნავენ, ან საგანს თავდაპირველ ფორმასთან შედარებით დამცირებულად წარმოგვიდგენს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ტიპის ფორმები სალიტერატურო ქართულში დიდად გავრცელებული არ არის, დიალექტებში მათი რაოდენობა უფრო მეტია. ამ ფორმათა საწარმოებლად ქართულში შემდეგი აფიქსები გამოიყენება : „-იკ“, „-ა“, „-ილ“, „-უკ“ და „-უნ“.

კნინობით სახელთა მაწარმოებელი „-ა“ სუფიქსი, ძირითადად გავრცელებულია მთის კილოებში, თუმც ვხვდებით სალიტერატურო ენაშიც.

კნინობითი სახელების მაწარმოებელი „-ა“ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში საკმაოდ პროდუქტულია, განსაკუთრებით ხშირად იგი გვხვდება საკუთარ სახელებში. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სახელის ფუძეს ერთვის „-ა“ სუფიქსი, როცა ფუძე თანხმოვანზე ან „ლ“ და „უ“ ხმოვნით ბოლოვდება (შანიძე,1980 :120):

თამარ-ა(მარად. კან., გვ., 469); ტარიელ-ა (მე ვხედ. მზ., გვ., 225); აჩუკუდ-ა (მე ვხედ. მზ., გვ., 225); კუკურ-ა (მე ვხედ. მზ., გვ., 274); ანზორ-ა (მე ვხედ. მზ., გვ.,201); ედემიკ-ა (მე ვხედ. მზ., გვ.,205); რუბენ-ა (მე ვხედ. მზ., გვ.,211); ნოდარ-ა (მე ვხედ. მზ., გვ.,216); ბეჟან-ა (მე ვხედ. მზ., გვ.,224); მურად-ა. (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,49); ზურიკელ-ა(მე, ბებ., ილიკ. და ილარ.,გვ.,100); ართავაზ-ა(მზ.ლამ., გვ.,371);ბესარიონ-ა (მე ვხედ. მზ., გვ.,210); გიგლ-ა (თეთრ.ბაირ., გვ., 255); მანუჩარ-ა(მარად.კან., გვ.,434); ტიგრან-ა-ს(თეთრ.ბაირ., გვ., 235).

იმ სახელებში, რომელთა ფუძეც ა-ზე ბოლოვდება, კნინობითი ფორმის წარმოებისას დაბოლოება აქვთ-„ია“:

ვაჟა-ია (მე ვხედ. მზ., გვ., 269); ლუკა-ია-ს (მე ვხედ. მზ., გვ.,198).

კნინობითი სახელების მაწარმოებელი „-ა“ სუფიქსი, დაერთვის საზოგადო სახელებსაც:

ძამი-ა (მე, ბებ., ილ. და ილარ., გვ., 49); **აბდალ-ა**(მე ვხედ. მზ., გვ., 278).

კნინობით ფორმათა ეს მაწარმოებელი მიღებული უნდა იყოს „-აკ“ სუფიქსისაგან. ეს უკანასკნელი კი დღეს „გორაკში“ და „წიგნაკშია“ შემონახული. თუმცა ენა ცდილობს „-აკ“ სუფიქსის გამოყენების სფეროთ გააფართოვოს (შანიძე, 1980: 121). აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები შემდეგი ფორმები გვხვდება საკვლევ ტექსტებში:

გორ-აკ-ზე (მე ვხედ. მზ. გვ., 213) **აგარ-აკ-ზე** (თეთრ. ბაირ. გვ., 279); **წიგნ-აკ-ში** (მზ. ღამ., გვ.,358); **გლახ-აკ-ი** (მარად. კან., გვ.,518); **ზანტ-აკ-ი**(მე, ბებ.,ილიკ . და ილარ., გვ., 53); **ლილ-აკ-ს** (მე, ბებ. ილ. და ილარ., გვ., 144); **მუშ-აკ-ი** (მე, ბებ. ილ. და ილარ., გვ., 184); **ლაწირ-აკ-ო**(ძალღ., გვ., 198).

კნინობით-ალერსობით სახელთა საწარმოებლად გამოიყენება „-იკ“ სუფიქსიც. იგი ძირითადად ო-სთან ერთადაა წარმოდგენილი. აკაკი შანიძის აზრით, „ო“ თავდაპირველად წოდებითი ბრუნვის ნიშანი უნდა ყოფილიყო და შენდევ შეეზარდა სახელის ფუძეს. „-იკ-ო“ აფიქსი ძირითადად საკუთარ სახელთა წარმოებაში გამოიყენება:

ღათ-იკო(მევხედ.მზ.,გვ.,194);**კუჭ-იკო**(კუკარაჩ., გვ.,8);**ან-იკო** (კუკარაჩ., გვ., 13); **ვაჟ-იკო** (ნუ გააღ., გვ., 237); **ვალ-იკო** (სისხლ., გვ., 291); **მერაბ-იკო**(„ვაშენოთ სწრაფად, იაფად და... გვ., 479);**აჩ-იკო-მ.**(ქალაქ.მიმინ. რა უნდ.,?! გვ., 110); **ელ-იკო-ს** (მზ.ღამ., გვ.,364); **თემ-იკო**(მზ.ღამ., გვ.,365);**თინ-იკო** (თეთრ.ბაირ., გვ., 266); **გულ-იკო**, (მზ.ღამ., გვ., 381); **ზურ-იკო** (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 42); **ილ-იკო** (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 58); **შალ-იკო**(მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 64); **ლად-იკო** (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 80); **მაშ-იკო-მ.** (მე ვხედ.მზ., გვ.,329); **ლევან-იკო-მ.** (თემ.ლენგ., გვ., 321); **დედ-იკო** (მზ. ღამ., 386).

„იკ-ო“ აფიქსი გვხვდება საზოგადო სახელებთანაც, თუმცა ასეთი ფორმები ძალზე მცირეა:

ბიმ-იკო(ყანწ., გვ., 312); ძამ-იკო(მზ.ღამ., გვ.,473); მამ-იკო-ს-ო (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 67).

„-უნ-ა“ აფიქსით ნაწარმოები მხოლოდ რამდენიმე ფორმა დადასტურდა საანალიზო ტექსტებში:

დათ-უნა-მ (მე ვხედ. მზ., გვ., 282); გლახ-უნა (მარად.კან., გვ.,425); დად-უნა(ნუ გეშ., დედ.,!გვ., 169);ბიჭ-უნა-ს (მზ. ღამ., გვ., 361).

გვხვდება „-ილ“ სუფიქსით ნაწარმოები მოფერებითი-ალერსობით შემდეგი საკუთარი სახელები :

გიგილო(გაუმარჯ.გიგილ., გვ.,348);ბაბილო (მე ვხედ. მზ., გვ., 313).

რაც შეეხება „-უკ“ სუფიქსს იგი ძირითადად დიალექტებშია წარმოდგენილი. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში „-უკ“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმათაგან გვხვდება ერთადერთი საკუთარი სახელი, კერძოდ: ნუნუკა

ნუნუკა („ვამ. სწრაფ., იაფ. და...“., გვ., 483).

ამდენად, კნინობით სახელებზე დაკვირვება საინტერესო სურათს გვიჩვენებს. როგორც ცნობილია სალიტერატურო ქართულ ენაში, კნინობით - ალერსობითი ფორმები, დიდი პროდუქტულობით არ გამოირჩევა და მათი გავრცელების არეალს დიალექტები წარმოადგენენ. თუმცა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მწერლისთვის სრულებით არაა უცხო ამ ტიპის სახელები და მეტიც ძალზე აქტიურადაც იყენებს კიდეც, მაგ: „თამარ-ა“; „მანუჩარ-ა“; „გიგლ-ა“; „აბდალ-ა“; „მუშ-აკ-ი“; „წიგნ-აკ-ი“; „დათ-იკო“; „ან-იკო“; „თინ-იკო“. კნინობით სახელთა სიმრავლე, კიდეც უფრო აახლოებს მწერლის ენას ხალხთან და მათ მეტყველებასთან.

§ 2.ქონების სახელები

ქართულში წარმოქმნილ სახელთა ერთ-ერთ ჯგუფს ქმნის ქონების სახელები. მათ საწარმოებლად ენა იყენებს შემდეგ აფიქსებს, კერძოდ: „-იან“, „-იერ“, „-ოვან“, „-ოსან“, „-ედ“, „-ა“. დასახელებულ მაწარმოებელთა შორის, ქონების სახელთა საწარმოებლად თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, ყველაზე

პროდუქტულია “-იან” სუფიქსი. აღნიშნული აფიქსი ა. შანიძეს „ეან“-ისაგან მიღებულად მიაჩნდა (შანიძე.1980:122). როგორც ჩანს, ამ სუფიქსის, თავდაპირველი ფუნქცია, წარმომავლობის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო და მოგვიანებით უნდა შეეძინა მას კუთვნილებითობის გაგება. „-იან“ სუფიქსი სახელთა მაწარმოებელ აფიქსად გვევლინება როგორც ქართული წარმოშობის სახელებში, ისე ნასესხებ სიტყვებშიც. ჩვენ მიერ დამუშავებულ საკვლევ მასალაში, ისევე, როგორც საერთო თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი „-იან“ სუფიქსიანი წარმოების ფორმები:

ჭირ-იან-ი (მე ვხედ. მზ., გვ., 293); **წყლ-იან-ი** (მზ.დამ., გვ., 372); **სევდ-იან-ი** (მზ.დამ.,გვ., 383); **სისხლ-იან-ი** (მზ.დამ., გვ.,432); **ქარ-იან-ი**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 67); **მთვარ-იან-ი**;(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 74); **ჭორფლ-იან-ი** (კუკარაჩ., გვ., 32); **სანდომ-იან-ი** (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 144); **ცოფ-იან-ი-ა** (მარად. კან., გვ.,442); **ვარსკლავ-იან-ს**(მე ვხედ. მზ., გვ., 276). **კუდ-იან-ებ-ს** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 60); **ტილ-იან-ებ-ზე** (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 21); **ფესვებ-იან-ად** (მე ვხედ.მზ., გვ.,224); **ტანკ-იან-ად**. (კუკარაჩ., გვ.,9); **ყურმილ-იან-ად** (გაუმარჯ.გიგილ., გვ.,343); **ჩიყვ-იან-ო!** (მე ვხედ. მზ., გვ., 243); **ჭკვ-იან-ო** .(მე ვხედ. მზ., გვ., 283) **კუდ-იან-ო**, (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,37).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „-იან“ სუფიქსიანი სახელი სახელობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი წევრია:

ზამზარ-იან-ი კარი (თეთ. ბაირ., გვ., 239); **თევზ-იან-ი** ხელი (მე ვხედ. მზ., გვ., 260); **ცომ-იან-ი** ხელი (მე ვხედ. მზ., გვ.,198); **ჭიქ-იან-ი** ხელი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 47); **ხორკლ-იან-ი** ხელი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 34); **ოფლ-იან-ი** ხელი (მარად.კან., გვ.,408); **მარილ-იან-ი** თოფი (კუკარაჩ., გვ., 7); **პირ-იან-ი** კაცი (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 37); **ღვინ-იან-ი** ჭური (მე, ბებ., ილიკ. და ილარ.,გვ., 55); **პილპილ-იან-ი** თუთუნი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,56); **კუდ-იან-ი** ბიჭი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 80); **ბავშვ-იან-ი** ქალი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ.,გვ.,96); **ძმრ-იან-ი** ტილო(ნუ გეშ., დედ.,!გვ., 24); **რძ-იან-ი** ქილა (ჰელად., გვ.,106); **წკვინტლ-იან-ი** კოკა (ჰელად., გვ.,99); **მთვარ-იან-ი** ღამე (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 191); **მზ-იან-ი** დღე (ჰელად., გვ.,104); **ცოფ-იან-ი** ძალივითა (მე ვხედ. მზ., გვ.,297).

უკანასკნელ მაგალითში საზღვრული წევრი სახელობით ბრუნვაში მდგომი „-ვით“ თანდებულიანი სახელია.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში საზღვრული წევრი მრავლობით რიცხვში მდგომი არსებითი სახელია:

გალავნ-იან-ი კომპები (თეთრ.ბაირ., გვ., 232);**ცრემლ-იან-ი** თვალეზი(ყანწ., გვ., 312); **ნისლ-იან-ი** თვალეზი (მზ. დამ., გვ., 404).

ჩვენს საკვლევ მასალაში დასტურდება მოთხრობით ბრუნვაში მდგომი „-იან“ სუფიქსიანი სახელი მსაზღვრელ წევრად:

ხალ-იან-მა გოგონამ (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 64); თქვა ერთმა **ბილეთ-იან-მა** (მე, ბებ., ილივ. და ილარ., გვ.,101).

უკანასკნელ მაგალითში „-იან“ სუფიქსიანი სახელი საზღვრული წევრის ფუნქციითაა წარმოდგენილი.

გვხვდება მიცემითბრუნვიანი „-იან“სუფიქსიანი სახელი მსაზღვრელი წევრის როლში:

ბაბთ-იან გოგონას(მზ.დამ., გვ.,361); **კარაქ-იან** პურს (მზ. დამ., გვ.,361); **ყინულ-იან** წყალს(მარად. კან., გვ.,440); **მტვრ-იან** გზას (მე ვხედ.მზ., გვ.,307); **თასმ-იან** ქალამნებსა (მე ვხედ. მზ., გვ., 260); **ჭკვ-იან** თვალეზში (მზ. დამ., გვ., 383); **ხინკლ-იან-ი** თეფში (თეთრ.ბაირ., გვ., 222);**თოვლ-იან** ველზე (მარდ.კან., გვ., 593).

უკანასკნელ სამ მაგალითში საზღვრული წევრი მიცემით ბრუნვაში მდგომი თანდებულიანი ფორმებია.

გამოიყო მოქმედებით ბრუნვაში მდგომი „-იან“ სუფიქსიანი სახელი მსაზღვრელ წევრად:

კოკორდ-იან-ი ქუდით (მე ვხედ. მზ., გვ.,215); **ცრემლ-იან-ი** თვალეზით (მე ვხედ.მზ., გვ.,349); **ჭუჭყ-იან-ი** ხალათებით დადიან(თეთრ.ბაირ., გვ., 221); **ხავს-იან-ი** კრამიტით (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 98); **ხრინწ-იან-ი** ხმით(მე, ბებ., ილივ. და ილარ., გვ., 79);**წყლ-იან-ი** გრაფინითა და დამჭკნარი ვარდებით(მარად.კან., გვ.,414).

მსაზღვრელ წევრად ვითარებით ბრუნვაში მდგომი „-იან“ სუფიქსიანი სახელიც გვევლინება“:

ჭკვ-იან კაცად (მე ვხედ. მზ., გვ., 225).

როგორც მოძიებული მაგალითებით ირკვევა, ქონების სახელთა „-იან“ მაწარმოებელი აფიქსი, გვხვდება კომპოზიტის შემადგენლობაში შემავალ მეორე კომპონენტთან:

დაბეჭდილმისამართ-იან-ი (მე ვხედ.მზ., გვ., 251);**თავქარ-იან-ი** (მე ვხედ. მზ., გვ.,216); **ბოხხმ-იან-ი** (მზ. ღამ., გვ.,447); **ცოლშვილ-იან-ი**(თეთრ.ბაირ., გვ., 355); **სულძაღლ-იან-ს** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 39); **დედაბუდ-იან-ად** (მე ვხედ.მზ., გვ., 224).

როგორც მაგალითებით ირკვევა რთულ სახელებში, „-იან“ სუფიქსი მაწარმოებელ აფიქსად გვხვდება ისეთ სიტყვებშიც, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი რიცხვითი სახელია, ასეთი ფორმები საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო საკვლევ მასალაში, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ:

ერთფანჯრ-იან (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 98);**ერთსართულ-იან** (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 98); **ორსართულ-იან-ი** (კუკარაჩ., გვ., 7); **თერთმეტსართულ-იან-ი** (მზ. ღამ., გვ.,365); **ერთლიტრ-იან-ი** (ყანწ., გვ., 305); **ორარშ-იან-ი** (მარად.კან., გვ., 556); **ორლულ-იან-ი**(თეთრ.ბაირ., გვ., 358); **სამწლ-იან-ი** (მზ.ღამ., გვ.,477); **სამსაწოლ-იან-ი** (მარად.კან., გვ.,412); **სამწარწერ-იან-ო** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 165); **ხუთწუთ-იან-ი** (მე ვხედ. მზ., გვ.,295); **ათასკაც-იან** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 69); **ათწლ-იან-ი** (თეთრ.ბაირ., გვ., 233); **სამოცფუთ-იან-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 57); **ასუცნობ-იან-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 39); **მრავალცოლ-იან-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,95).

საკვლევ მასალაში, საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება, „-იან“ სუფიქსი, რომელიც გამოიყენება ისეთი კომპოზიტიანი ქონების სახელთა საწარმოებლად, რომელთა პირველი კომპონენტიც ზედსართავი სახელია:

მაღალყელ-იან-ი (მარად.კან., გვ., 592); **დიდყურ-ებ-იან-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 48); **მოკლეკაბ-იან-ი** (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 158); **მოკლებელ-ებ-იან-ი** (მარად.კან., გვ.,449); **ვიწროშარვლ-იან-ებ-ს** (მზ. ღამ., გვ.,460).

ქვემოთ დასახელებული კომპოზიტების შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი წევრი „ფერის“ აღმნიშვნელი სახელია:

შავტარ-იან (კუკარაჩ., გვ., 52); თეთრეშვებ-იან (ნუ გემ., დედ.,!გვ., 164); შავყდ-იან-ი (კუკარაჩ., გვ., 61);თეთრსაყელო-იან-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 98);წითელთმ-იან-ი (მე ვხედ. მზ., გვ.,202); თეთრწინწკლ-ებ-იან-ი (მე ვხედ. მზ., გვ.,282); თეთრწინსაფრ-იან-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 146); ყავისფერკაბ-იან-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 146); ვარდისფერბაფთ-იან-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 146); ცისფერთვალ-ებ-იან-ი (მზ.დამ., გვ., 409).

ქონების მაწარმოებელი „-იან“ სუფიქსი, ბუნებრივია ძირითადად, ქართული წარმოების სახელებში გვხვდება, თუმცა ჩვენს საკვლევ მასალაში ნასესხებ სახელებშიც დასტურდება:

მაზოლი (რუსული) კოჭრი, კოჭიჭი

-არ ვიცი მე, ვინ ელოდება , აგი მაზოლ-იან-ი ფეხი მე ნათხოვარი არ მაქვს, მოუძებნე ადგილი, თორემ გადავაგდებ ფანჯარაში!(მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 99).

უცხო სიტყვათა ლექსიკონში „ფაქტურა“ ასეა განმარტებული: ეს არის სია, რომელიც გასაყიდად გაგზავნილ საქონელს თან აქვს დართული და რომელშიც აღნიშნულია საქონლის ფასი, სახელწოდება, რაოდენობა და სხვ:

-არა, ფაქტურიანი(მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 115).

„მატორი“ (რუს)- ქართულად „ძრავს“ ნიშნავს:

...ზღვის ნაპირზე გავედით, სამ მესაზღვრეს სადგომიდან მოტორიანი ნავი გამოჰქონდათ (ნუ გემ., დედ.,!გვ., 151).

„ალფაბეტი“ ბერძნული სიტყვაა, რომელიც ბერძნული ანბანის პირველი და მეორე ასოს სახელწოდებების შეერთების შედეგად არის მიღებული:

ციხეს დიდი ალფაბეტ-იან-ი დავთარი გააჩნია.(თეთრ. ბაირ., გვ., 231).

„ოქტავა“ (ლათ.) -უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით - „მერვე“. ა) მოცემულ ბგერასა და მისგან მერვე ბგერას შორის ინტერვალი; ბ) ძალიან დაბალი ნაირსახეობა ბასისა; გ) რვატაეპიანი ლექსის სტროფი:

ოქტავ-იან-ი (თეთრ.ბაირ., გვ., 383);

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით „ვარაყი“ არაბული სიტყვაა. სულხან საბა-ორბელიანის განმარტებით: „ვარაყი სხვათა ენაა ქართულად ქანდა ჰქვია“. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით „ვარაყი“ – „მოვარაყება“ - სხვადასხვა დანიშნულების ნივთის შესამკობად ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენის გადაკვრას ნიშნავს. ვარაყით არის აგრეთვე შემკული ძველი ქართული ხენნაწერი ძეგლები“. აღნიშნული ლექსიკური ერთეული „-იან“ სუფიქსით არის ნაწარმოები ნ. დუმბაძის შემოქმედებაში, რომელიც საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში კომპოზიტის მეორე კომპონენტია:

მას ოქროსვარაყ-იან-ი, სქელშუშიანი სათვალე ეკეთა, (მზ.დამ., გვ.,358).

მათი სურათი ვერცხლისვარაყ-იან-ი ხმლების ჯვარედინში იყო მომწყვდეული. (მზ.დამ., გვ., 437).

დასტურდება წარმოქნილი სახელების ხელახალი წარმოების შემთხვევებიც :

სა-მხრ-ე-ებ-იან კიტელზე ზევიდან თეთრი ხალათი ჰქონდა მოსხმული და ჩინი არ უჩანდა(ნუ გემ., დედ.,!გვ., 87).

...გახსოვდეთ, რომ ჩვენ მოკლეკაბიან, საყურ-ე-ებ-იან და პომადიან ხალხს ვერ შევუშვებთ კომუნიზმში (მზ. დამ., გვ.,460).

„-იან“ სუფიქსის ძირითადი ფუნქცია, ქონების სახელთა წარმოებაა. თუმცა აკადემიკოს აკაკი შანიძის აზრით, ამ სუფიქსით რისიმე მიმდევრობის ჩვენებაცაა შესაძლებელი (შანიძე, 1980:122). ამ ფუნქციით ეს მაწარმოებელი გვხვდება სიტყვებში: მაჰმადიანი, ქრისტიანი და მსგავსი ფორმები. საკვლევ ტექსტებში, რამდენჯერმე შეგვხვდა „ქრისტიანი“-რაც ქრისტეს მიმდევარს ნიშნავს:

არ მინდოდა ჯვრის დასობა, ჩემო ბეჟანა, მაგრამ აკვარინე ბებია ამ არ ქნა, ქრისტ-იან-ს ყველას უნდა ჯვარიო. (მე ვხედ. მზ., გვ., 269).

ქონების სახლებში გამოიყოფა „-ოსან“ სუფიქსით, ნაწარმოები სახელები. ეს მაწარმოებელი რაიმეს მატარებელს ან მქონებელს აღნიშნავს. „-ოსან“, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, მეტად პროდუქტული ყოფილა ძველ

ქართულ სალიტერატურო ენაში. თუმცა დღესაც ნელ-ნელა იკავავს გზას. „-ოსან“ სუფიქსით ნაწარმოები სახელები გვხვდება ჩვენს საკვლევ მასალაშიც:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „-ოსან“ სუფიქსის უძველესი ფუნქცია რაიმეს მატარებლობის გამოხატვა იყო, აღნიშნული აფიქსი ამავე ფუნქციითაა გამოყენებული ქვემოთ საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებშიც:

შავოსანი მანდილ-ოსან-ი ნელი ნაბიჯით წავიდა(ნუ გეშ.,დედ.,! გვ., 56).

თემურლენგი კი მსუბუქი კოჭლობით, ოქროსგვირგვინ-ოსან-ი, მზის სხივებზე ათასფრად მოთამაშე ოქროცურვილი სამოსით... (თემ.ლენგ., გვ., 317).

თუმცა სახელთა უმრავლესობა, რომლებიც ძვ. ქართულში ქონებას „-ოსან“ სუფიქსით აწარმოებდნენ, დღეს იმავე შინაარსის გამოსახატავად „-იან“ სუფიქსს მიმართავენ.

თანამედროვე ქართულმა, ახალი ფუნქციით დატვირთა „-ოსან“ სუფიქსი და დღეს რამდენიმე ფუნქციით გამოიყენება. იგი ძირითადად აწარმოებს ქართული წარმოშობის სახელებს. ნ. დუმბაძის შემოქმედებაში გვხვდება ამ აფიქსით ნაწარმოები შემდეგი ფორმები:

მედალ-ოსან-ი (მზ.ლამ., გვ 377); ორდენ-ოსან-ი... (ნუ გეშ.,დედ.,! გვ., 11); პატი-ოსან (მზ.ლამ., გვ.,361); ფრიად-ოსან-ი(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,108); შავ-ოსან (თემ.ლენგ., გვ., 322).

რიგ შემთხვევაში, „-ოსან“ სუფიქსი მცენარეთა ან ცხოველთა სახეობის მაწარმოებელ აფიქსად გვევლინება. ნ. დუმბაძის შემოქმედებაში ამ ფუნქციით „-ოსან“ სუფიქსის ერთადერთი შემხვევა დასტურდება:

მთელი სოფლის ნახევარზე მეტი ფრთ-ოსან-ის-ა და მგალობელის სახლი და საყდარი ხარ..(უმადურ., გვ., 223)

„-ოსან“ სუფიქსით ნაწარმოებმა სახელებმა შესაძლოა, მოძრაობა, მიმართულება ან წამოწყების მიმდევრობაც გამოხატოს. ასეთ ფორმად ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ჩანს „ჯვაროსანი“.

...ამიტომ გულმოდგინედ ვუსმენდით გულიკოს, რომელიც ისე მხატვრულად გვიკითხავდა **ჯვარ-ოსან** პოტიომკინზე ბორჩში აღმოჩენილი მატლის გამო დაწყებულ აჯანყებას, რომ მე პირადად რამდენჯერმე ნერწყვიც კი გადავყლაპე. (მზ.ლამ., გვ., 378)

„ოვან“ სუფიქსი, „-ოსანისა“ და „-ედ“ სუფიქსების, მსგავსად ძველი ქართული ენის, ქონების მაწარმოებელ აფიქსად მიიჩნევა. ძველ ქართულში ქონების სახელთა მაწარმოებლებს შორის, „-ოვანი“ ყველაზე გავრცელებული აფიქსია. ხშირად ეს სუფიქსი „-იანის“ ნაცვლადაც კი გამოიყენებოდა, უფრო მეტიც ზოგ შემთხვევაში ფარავდა კიდევ მას.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში „-ოვან“ სუფიქსი, ახალ ფორმებს აღარ აწარმოებს, ეს მაწარმოებელი ძირითადად ძველი ქართული მწიგნობრული ენიდან გამოსულ სიტყვებში დასტურდება. დღეს უმეტესწილად „-ოვან“ სუფიქსის ნაცვლად „-იან“ მაწარმოებელია გამოყენებული. „-ოვან“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები ჩვენს საკვლევ მასალაშიც დაიძებნა:

ყვავილ-ოვან (მონატრ., გვ., 261); **სახელ-ოვან-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 69); **მნიშვნელ-ოვან** (ჰელად., გვ., 104); **კლდ-ოვან** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 151); **ჰაერ-ოვან-ი** (მარად.კან., გვ., 404); **წახნაგ-ოვან-ი** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 91); **ფერად-ოვან-ი** (მარად.კან., გვ., 457); **სურნელ-ოვან-ი** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 166); **ნარინჯ-ოვან-ი** (მარად.კან., გვ., 582); **ბუნდ-ოვან-ი** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 66); **ნისლ-ოვან-ებ-ი-დან** (მარად. კან., გვ., 542); **ბაგრატ-ოვან-ის** (ყანწ., გვ., 307)

დადასტურდა „-ოვან“ სუფიქსით ნაწარმოები ქონების სახელი კომპოზიტის მეორე კომპონენტად:

ასწლ-ოვან (მე ვხედ.მზ., გვ., 341); **ათასწლ-ოვან** (მონატრა., გვ., 265); **ორაზრ-ოვან** (მარად.კან., გვ., 446); **მცირეწლ-ოვან-ი** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 147); **მცირერიცხ-ოვან-ი** (თემ.ლენგ., გვ., 315); **მრავალსახ-ოვან-ი** (თეთრ.ბაირ., გვ., 243); **მრავალხმ-ოვან-ი** (მონატრ., გვ., 264); **მრავალფერ-ოვან-ი** (მონატრ., გვ., 257); **შვიდფერ-ოვან-ი** (მარად.კან., გვ., 494); **მრავალაზრ-ოვან-ად** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 62);

ქვემოთმოყვანილ კომპოზიტში „-ოვან“ სუფიქსიანი სახელი სამცნებიანი კომპოზიტის მესამე კომპონენტია:

-დიახ, ვერ ავყვები და ჩემს ცაფირუზზურმუხტ-ოვან....(ასტვანწ! ინჩუ ჰამარ!, გვ., 327)

ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას „-ოვან“ სუფიქსი, როგორც წესი, შეკუმშული სახით არის წარმოდგენილი:

ტოლფარდ-ოვან-ად (მონატრ., გვ., 260); **დიდმნიშვნელ-ოვან-ად** (მზ.ლამ., გვ., 389)

სამწერლობო ენაში, ქონების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება, აგრეთვე „-იერ“ სუფიქსი. ეს მაწარმოებელი განსაკუთრებით პროდუქტული ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ყოფილა. აღნიშნული მაწარმოებელი ზმნური ფუძისგან ნაწარმოებ ფორმებშიც გვხვდება. საკვლევ მასალაში დადასტურდა: „მშვენიერი, მეცნიერი“. „მშვენიერი“, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „შვენის“ ფორმისაგან შემდეგში მ-ს დართვით, უნდა იყოს მიღებული (შანიძე: 1980:124):

მშვენ-იერ (მე ვხედ.მზ., გვ.,326); **მეცნ-იერ-ი** (მზ.ლამ., გვ 393); **მშ-იერ-ი** (მზ.ლამ., გვ., 407).

ძირითადად, აღნიშნული სუფიქსი არსებითი სახელებისაგან აწარმოებს ზედსართავს. ასე მაგალითად: ნიჭისგან მიღებული გვაქვს ნიჭიერი, ღონესგან - ღონიერი, ძალა-ძლიერი, და ა.შ.

ნიჭ-იერ (მზ.ლამ., გვ., 378); **ღონ-იერ-ი** (მე ვხედ.მზ., გვ.,224); **წეს-იერ-ი** (ნუ გააღ., გვ., 254); **ბედნ-იერ-ი** (მარად.კან., გვ.,540); **ძლ-იერ-ი**. (მე ვხედ.მზ., გვ.,326); **მადლ-იერ-ი** (მზ.ლამ., გვ.,478); **ზომ-იერ-ი** (მზ.ლამ., გვ., 409); **სიტყვ-იერ-ი** (მზ.ლამ., გვ.,457); **სულ-იერ-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 79); **ხნ-იერ-ი**(თეთრ. ბაირ., გვ., 266); **მიწ-იერ-ი** (მარად.კან., გვ.,491); **ბუნებისმ-იერ-ი**(მარად.კან., გვ.,417)

როგორც ამას ალ. მანჯგალაძე აღნიშნავს, ზოგიერთ შემთხვევაში „-იერ“ სუფიქსს, წარმომავლობა - სადაურობის გამოხატვის ძალაც შესწევს (მანჯგალაძე:1953:498). ასე მაგალითად სიტყვა ზეციერი - არამიწიერი ანუ ზეცაში მყოფის გამოსახატავად გამოიყენება. თუმცა ბუნებრივია ამ მაწარმოებლის

ძირითადი ფუნქცია ქონების სახელთა წარმოებაა:

ზეც-იერ-ს (დიდრ., გვ., 186); **მამაზეც-იერ-ი** (მეორ.გასაბრ.ღმერთ., გვ., 363).

განსახილველი მაწარმოებელი, გვხვდება ისეთ სიტყვებშიც, რომელთა ძირეული ფორმები არ შემონახულა. დუმბაძის შემოქმედებაში გამოიყო ერთადერთი ასეთი ფორმა - :**ნოყიერი**“:

სოფლის სასაფლაოზე საქონელი დადის და ბალახს ძოვს, მერე იწველება და ის რძე **ნოყ-იერ-ი-ა**, როგორც სოფლის ჰაერი, ბალახი და მიწა.(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 52)

„-იერ“ სუფიქსი, როგორც ეს მაგალითებიდანაც ჩანს, გამოყენებულია რთული სახელების, ქონების საწარმოებლადაც:

მრავალჯამ-იერ-ი (მზ. ღამ., გვ., 433); **პირმშვენ-იერ-ი**(მარად.კან., გვ.,506); **კეთილსინდის-იერ-ად** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ., 62)

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ქონების სახელთა საწარმოებლად ენა აქტიურად იყენებდა “-ედ” სუფიქსს. თანამედროვე ქართულში, კი ეს მაწარმოებელი მკვდარ აფიქსადაა მიჩნეული. დასახელებული სუფიქსი, დუმბაძის შემოქმედებაშიც, მცირე რაოდენობით დადასტურდა:

თანავარსკვლავედ-ი (მზ. ღამ., გვ., 379); **შარავანდ-ედ-ით** (მზე, გვ., 155)

უნივერსალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ზემოთ დასახელებული ლექსიკური ერთეული „შარავანდედი“ განმარტებულია, როგორც- „ნიმბი, შარავანდი“. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ონლაინ ქრისტიანულ ლექსიკონს, ეს სიტყვა ასეა ახსნილი: „შარავანდედი“ – ლათ. Nimbus –“დიდება“, „დიდების შარავანდედი“. სხივფენი ოქროსფერი ელემენტი, რომელსაც ქრისტეს შობამდე IV საუკუნიდან კლასიკურ ხელოვნებაში ღმრთაების ან მეფის გამოსახულებაზე ათავსებდნენ თავის გარშემო .

უბედური შენი პატრონი, სად იყო მაშინ პალტო, აილო **კვესაბ-ედ-ი**, დაანთო ცეცხლი და მიუჯდა გვერდში (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ.,113)

თანამედროვე ქართულში არის მცდელობა „-ედ“ სუფიქსის გააქტიურებისა და ამ აფიქსით ნაწარმოები ფორმები გვხვდება სხვადასხვა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. კერძოდ: გეოგრაფიაში, ასტროლოგიაში, მათემატიკასა თუ გეომეტრიაში. საკვლევ მასალაში დადასტურდა შემდეგი გეოგრაფიული ტერმინები: „გრძედი და განედი“:

სიგრძ-ედ-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ 39); **გან-ედ-ი**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ 39)

გარდა ამისა საკვლევ მასალაში დაიძებნა ისეთი სიტყვა, რომელიც აქტიურად გამოიყენება მათემატიკაში: **ოთხკუთხ-ედ-ი** (კუკარაჩ., გვ., 38).

დუმბაძის ენაში, გვხვდება ასევე „-ედ“ სუფიქსით ნაწარმოები შემდეგი ფორმები: **შვიდწლ-ედ-ი**(კუკარაჩ., გვ., 66); **ათწლ-ედ-ი** (მზ.ლამ., გვ., 405); ბაბუაჩემი ჯაყელების ჯიბრზე კომკავშირის **უჯრ-ედ-ის** მდივანიც გამხდარა(ნუ გეშ., დედ.,!გვ., 13); **პარტუჯრ-ედ-ი**(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 14).

„პარტუჯრედი“ ამ ლექსიკური ერთეულის პირველი კომპონენტი შემოკლებულია.

„ა“ ხმოვანზე გათავებული სახელები ქართულ ენაში დიდი რაოდენობით გვხვდება, თუმცა ყველა სახელში „-ა“ არ უნდა მივიჩნიოთ სადერივაციო აფიქსად. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ, აღნიშნული მაწარმოებლის, სადერივაციო ფუნქციაზე, თუ კი მას მოეპოვება საპირისპირო ფორმები.

ჩვენს საკვლევ მასალაში ქონების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება „-ა“ სუფიქსი, რომელიც დაერთვის მარტივფუძიან საზოგადო სახელებს და რისამე ქონებაზე მიგვითითებს. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში **„ცხვირ-ა“** მიუთითებს დიდი ცხვირის მქონე ადამიანზე:

მსგავსების გამოსახატავად არის გამოყენებული **„ქერ-ა“**(იგივე ქერის ფერი) ფორმაში აღნიშნული მაწარმოებელი:

საკვლევ ტექსტებში საკმაოდ პროდუქტულია „ა“ ქონების მაწარმოებლის დართვა რთულ სახელებზე, სადაც მსაზღვრელი წევრი რიცხვითი ან ზედსართავი სახელია:

ორპირ-ა (მე ვხედ.მზ., გვ.,307); **სამფეხ-ა**(მე ვხედ.მზ., გვ.,305); **სამწვერ-ა** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 198); **სამთვალ-ა** (მე ვხედ. მზ., 205); **სამკუთხ-ა** (მე ვხედ. მზ., გვ., 251); **ცალხელ-ა** (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 135); **ცალპირ-ა** (მე ვხედ. მზ., გვ., 278); **ცალფეხ-ა** (მე ვხედ. მზ., გვ., 350); **ოთხთვალ-ა** (ყანწ., გვ., 307); **შავთვალ-ა** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 64); **წითელცხვირ-ა** (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 149); **ბრტყელცხვირ-ა** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 166); **დიდთავ-ა** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 63); **წვრილქუსლ-ა** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 166)**ცისფერთვალ-ებ-ა**(მე, ბებ. ილიკ. და ილარ. გვ., 145).

ამრიგად, ქონების სახელთა საწარმოებლად, ყველაზე აქტიურად გამოიყენება „-იან“ სუფიქსი. ამ აფიქსით ნაწარმოები ქონების სახელები წინადადებაში თავისუფლად გვხვდება, მსაზღვრელის ფუნქციით: „**ზამზარ-იან-ი კარი**“; „**თევზ-იან-ი ხელი**“; „**ხორკლ-იან-ი ხელი**“; „**ღვინ-იან-ი ჭური**“; „**კუდ-იან-ი ბიჭი**“. დასახელებული აფიქსი გვხვდება რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილადაც: „**თავქარ-იან-ი**“; „**თავსაფრ-იან-ი**“; „**ბოხხმ-იან-ი**“; **ცოლშვილ-იან-ი**“. აღნიშნული სუფიქსი, გვხვდება ისეთი რთული სახელების შემადგენელ ნაწილად, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი რიცხვითი სახელი ან ფერის აღმნიშვნელი სიტყვაა მაგ: „**ერთსართლ-იანი**“ „**სამსაწოლ-იან-ი**“; „**სამწარწერ-იან-ი**“; „**წითელთმ-იანი**“ ; „**შავტარ-იან-ი**“.

საკვლევ მასალაში „-იან „ სუფიქსი ნასესხებ ფორმათა მაწარმოებლადაც გვევლინება, მაგ: **მაზოლი-იან-ი**, **ფაქტურ-იან-ი**. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „-იან“ სუფიქსი ქონების, კუთვნილების გარდა, რისიმე მიმდევრობის გამოსახატავადაც გამოიყენება. მაგ: **ქრისტ-იან-ი**.

მასალაზე მუშაობისას გამოიყო „-ოსან“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმებიც, ეს აფიქსი ქონებასთან ერთად რისიმე მატარებლობასაც გამოხატავს, მაგ: „**გვირგვინ-ოსანი**“, ამ აფიქსს შესწევს უნარი მიმდევრობა, წამოწყებაც გამოხატოს მაგ: „**ჯვარ-ოსანი**“.

დადასტურდა აგრეთვე „-ოვან“ აფიქსით ნაწარმოები ფორმები. მაგ: „ჰაერ-ოვან-ი“; „ბაგრატ-ოვან-ი“; „მცირეწლ-ოვან-ი“; „მრავალრიცხ-ოვან-ი“; „შვიდფერ-ოვან-ი“.

ქობის სახელთა კიდევ ერთი მაწარმოებელი, რომელიც გვხვდება საკვლევ მასალაში არის „-იერ“. რომელიც ნ.დუმბაძის შემოქმედებაში დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა. მაგალითებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ „-იერ“ სუფიქსს წარმომავლობა-სადაურობის გამოხატვაც შეუძლია მაგ: „ზეც-იერ-ი“; „მამაზეც-იერ-ი“. დასახელებული აფიქსი გვხვდება ზმნური ფუძისგან ნაწარმოებ სახელებშიც. მაგ: „მშვენ-იერ-ი“; „მშ-იერ-ი“; „მეცნ-იერ-ი“.

საანალიზო მასალაში გვხვდება აგრეთვე, „-ედ“ და „-ა“ აფიქსებით ნაწარმოები ფორმები. ნოდარ დუმბაძესთან ამ აფიქსით ნაწარმოენი ფორმები, ძალიან ცოტა რაოდენობითაა წარმოდგენილი. მაგ: „გრძ-ედ-ი“; „ათწლ-ედ-ი“; „უჯრ-ედ-ი“; „ოთხკუთხ-ედ-ი“.

რაც შეეხება „ა“ სუფიქსს, როგორც ზემომოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა, იგი შეიძლება დერთვას, როგორც მარტივფუძიან სახელებს ისე რთულფუძიან ფორმებს და ამგვარად აწარმოებს ქონების სახელებს. რაოდენობრივი თვალსაზრისით „-იან“ სუფიქსთან შედარებით მცირე ოდენობით გვხვდება: „სამწვერ-ა“; „ცალხელ-ა“; „ცალპირ-ა“; „სამკუთხ-ა“; „ორპირ-ა“.

§ 3. უქონლობის სახელები

ქართულ სალიტერატურო ენაში ქონების სახელეთა საპირისპიროდ გვხვდება უქონლობა-უყოლობის სახელები, რომლებიც არსებითი სახელის ფუძისგან იწარმოება, სათანადო აფიქსების დართვით. კერძოდ კი უქონლობის სახელთა საწარმოებლად შემდეგი აფიქსები გამოყენება: “უ-ო”; და“უ-ურ”. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს მაწარმოებლები ერთნაირი წარმოშობისანი არიან, თუმცა გამოყენების თვალსაზრისით მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობაა

(შანიძე:1980:126). შედარებით უფრო ძველ მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ „უ-ურ“ კონფიქსი, ხოლო უფრო გვიანი დროისაა „უ-ო“ აფიქსი.

„უ-ო“ აფიქსი, უქონლობის სახელთა საწარმოებლად, დღევანდელ მწიგნობრულ ენაში აქტიურად გამოიყენება, რომელიც ახალ სიტყვათა ფუძეებისაგან, აწარმოებს უქონლობის სახელებს. ჩვენ მიერ, განსახილველ მასალაშიც გვხვდება უქონლობის სახელები. როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, დუმბაძის შემოქმედებაში უფრო პროოდუქტულია „უ-ო“ აფიქსი. აღნიშნული მაწარმოებელი, სამწერლობო ენაში გამოიყენება, როგორც ქართული, ისე ნასესხები სიტყვების საწარმოებლად. გვხვდება ერთ, ორ და მრავალმარცვლიან ფუძეებთან...უ-ო“ კონფიქსი, უქონლობის სახელებს, ძირითადად არსებითი სახელებისაგან აწარმოებს:

უ-ენ-ო (მე ვხედ. მზ., გვ., 255); უ-აზრ-ო (მზ.დამ. ,გვ.,357); უ-საზღვრ-ო (მზ.დამ., გვ., 382); უ-ზომ-ო-დ (მე ვხედ. მზ., გვ., 273); უ-მარილ-ო (მე ვხედ. მზ., გვ., 248); უ-ბელ-ო (ჰელად., გვ.,107); უ-რჯულ-ო (უმადურ., გვ., 224); უ-მწიკლ-ო (მარად.კან., გვ., 586); უ-ნომრ-ო (მარად. კან., გვ.,460); უ-სიზმრ-ო(მარად. კან., გვ., 602); უ-მზე-ო-დ (მარად.კან., გვ.,497); უ-სიამ-ო (დიდრ., გვ., 183); უ-დანაშაულ-ო (მზ.დამ., გვ., 428); უ-კლას-ო (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 65); უ-სახ-ო (მარად.კან., გვ., 587); უ-საშველ-ო (მე ვხედ. მზ., გვ., 267); უ-ნიჭ-ო(მარად.კან., გვ.,540); უ-სიზმრ-ო (მე ვხედ.მზ., გვ.,339); უ-იარად-ო(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 122); უ-ბრალ-ო (მე ვხედ. მზ., გვ., 269); უ-ნამუს-ო(მე ვხედ.მზ., გვ.,313); უ-ჯიშ-ო(მე ვხედ.მზ., გვ.,330); უ-ნაპირ-ო (მზ.დამ., გვ.,379); უ-ადგილ-ო (მე ვხედ.მზ., გვ., 217); უ-პატრონ-ო(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 56); უ-ძილ-ო(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 74); უ-რჯულ-ო(მე, ბებ., ილიკ. და ილარ.,გვ., 81);უ-სინდის-ო (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,161); უ-ნამუს-ო(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 59); უ-საყელ-ო (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 72); უ-დანაშაულ-ო(თეთრ.ბაირ., გვ., 291);უ-ძილ-ო(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 19); უ-საშველ-ო (სისხლ., გვ., 292); უ-პალტო-ო (მარად. კან., გვ.,412); უ-მთვარ-ო-ა (ნუ გეშ.,დედ.,! გვ., 26); უ-ბილეთ-ო-მ(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,101); უ-ცრემლ-ო-დ (მე ვხედ.მზ., გვ., 235); უ-მიზეზ-ო-დ (მე ვხედ. მზ., გვ., 243); უ-ხალის-ო-დ (მე ვხედ. მზ., გვ., 270); უ-სიტყვ-ო-დ (მე ვხედ. მზ., გვ., 271); უ-ხმ-ო-დ (მე ვხედ. მზ., გვ.,299); უ-იმედ-ო-დ(მე

ვხედ.მზ., გვ.,317); უ-სასრულ-ო-დ(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 38); უ-დანო-დ(მე ვხედ. მზ., გვ., 265)

ძირითადად უქონლობის სახელები, არსებითი სახელებისგანაა ნაწარმოები, თუმცა ვხვდებით ზედსართავისგან ნაწარმოებ, უქონლობის აღმნიშვნელ ფორმებსაც:

უ-ლამაზ-ო(მე ვხედ. მზ., გვ., 256); უ-კმაყოფილ-ო (მზ. ღამ., გვ., 420)

„უ-ო“ კონფიქსი, უქონლობის სახელთა მაწარმოებელ აფიქსად გვხვდება, კომპოზიტებშიც:

უ-წვერულვაშ-ო (ასტვან! ინჩუ ჰამარ!, გვ., 337); უ-ცხვირპირ-ო(მე ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 38); უ-თვისტომ-ო(თეთრ.ბაირ., გვ., 255); უ-სტუდბილეთ-ო-დ (მზ.ღამ., გვ., 447)

„უ-ო“ აფიქსი გამოიყენება ნასესხები სახელებისგან უქონლობის სახელთა საწარმოებლადაც:

„უსტიპენდი-ო“ აღნიშნავს პირს, რომელსაც სტიპენდია არა აქვს:

ჰოდა, ახლა მე, უ-სტიპენდი-ო, ვიჯექი უნივერსიტეტის ბაღში და ვუცქერდი პატარა, ბაბთიან გოგონას(მზ. ღამ., გვ.,361)

„შტატი“ სახელისაგან ნაწარმოებია უქონლობის სახელი „უ-შტატ-ო“. „შტატი“ უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით- გერმანული სიტყვაა. ეს სიტყვა ერთის მხრივ შესაძლოა ფედერალური სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებულ სახელმწიფო -ადმინისტრაციულ ერთეულს აღნიშნავდეს, ან რომელიმე დაწესებულებაში დასაქმებულთა, მთელ შემადგენლობას. :

კოროლივოს ნუ ეშინია, მდინარაძე უ-შტატ-ო მოადგილედ გეყოლება!(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 134)

„შოფერ-ი“ ფრანგული სიტყვაა და აღნიშნავს ავტომობილის მძღოლს:

იდგა უ-შოფერ-ო-დ, ნახევარი საათი, ერთი, ორი, მერე გიყო რულზე დაჯდა,... (მზ.ღამ., გვ., 442)

„მარკა“ ძველი გერმანული სიტყვიდან მომდინარეობს, მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, მარკა საფოსტო ნიშანს ეწოდება („უ-მარკ-ო“ -იგივეა, რაც მარკის არ მქონე):

ჩვენი ფოსტალიონი, მაგალითად, პირშავია, კონვერტებს მარკებს აძრობს და მერე მეუბნება, **უ-მარკ-ო** იყო, მანეთი მომეცო .(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 38)

„პომადა“ ფრანგული სიტყვაა და უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, ესაა კოსმეტიკური საცხი, რომელიც სხვადასხვა ნივთიერებითაა დამზადებული:

-ესე იგი, შენ იდგები კომუნიზმის კარში და მარტო ფართომარვლიანებს, თმაგაბურძენულ, დაუვარცხნელ, **უ-პომადა-ო**..ხალხს შეუშვებ? (მზ.დამ., გვ.,460)

„აპარატი“ ლათინური სიტყვისგან „APPARATUS“ -მომდინარეობს. ესაა მოწყობილობა, ხელსაწყო, რომელიც გარკვეულ მუშაობას ასრულებს:

-მკითხა **უ-აპარატ-ო-დ** დარჩენილმა ქალმა.(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 141)

უქონლობის კონფიქსით ნაწარმოები სახელი-ებ-იან მრავლობითი რიცხვშიც გვხვდება:

უ-ჯიშ-ო-ებ-ო! (მე ვხედ. მზ., გვ., 250); **უ-ცხვირპირ-ო-ებ-ო?**(მე ვხედ.მზ., გვ.,344);

უქონლობა-უყოლობის სახელთა წარმოების დროს , შეგვხვდა ორმაგი წარმოების შემთხვევებიც. მაგალითად დანიშნულების სახელისაგან „სა-ყურ-ე“ ხელახალი წარმოების გზით მიღებულია უქონლობის სახელი „ უ-საყურ-ე-ებ-ო“:

უ-სა-ყურ-ე-ებ-ო(მზ.დამ., გვ.,460); **უ-სი-ნათლ-ო** (მე ვხედ. მზ., გვ., 248);

იშვიათად, თუმცა მაინც ვხვდებით, დუმბადის შემოქმედებაში ადამიანის საკუთარი სახელებისაგან ნაწარმოებ უქონების სახელებსაც:

უ-კუკარაჩა-ო-დ (კუკარაჩ., გვ.,9); **უ-ბეგლარ-ო-დ.** (მე ვხედ. მზ., გვ.,282).

ვარლამ თოფურია თავის ნაშრომში „ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან“ აღნიშნავს რომ, ქართველურ ენებში სუფიქსებით გადმოიცემოდა სახელთა უქონლობა. თუ თვალს გადავავლებთ ქართულ-ზანურ უარყოფითი ფორმების მაწარმოებლებს დავინახავთ, რომ მათ შორის საერთო ელემენტია „უ-“. საფიქრებელია რომ, უქონლობის მაწარმოებელ კონფიქსებში,

სათანადო შინაარსის გამომხატველი არის პრეფიქსი, ხოლო სუფიქსების ფუნქცის დადგენა შემდგომ კვლევას საჭიროებს. რამე თუ „-ურ“ სუფიქსი დადებითი შინაარსის ფორმებშიც გვხვდება. არსებობს მოსაზრება რომ, თავდაპირველად „უ-“ პრეფიქსი აწარმოებდა უქონების სახელებს, სუფიქსების დანიშნულება კი სხვა უნდა ყოფილიყო. ხოლო მას შემდეგ როცა კონფიქსის შემადგენელმა სუფიქსმა, დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია, იქცა დამოუკიდებელ აფიქსად და პრეფიქსთან ერთად, უქონლობის მაწარმოებელი კონფიქსი მოგვცა. გამოდის რომ სუფიქსის ამ ფუნქციით აღჭურვა შედარებით ახალი მოვლენაა (თოფურია:1940:437-539).

უქონლობის სახელთა მაწარმოებლად გვხვდება „უ-ურ“ კონფიქსიც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს მაწარმოებელი უფრო პროდუქტული, ძველ ქართულ მწიგნობრულ ენაში უნდა ყოფილიყო. თანამედროვე ქართულში კი, იგი დიდი სიხშირით აღარ გვხვდება. როგორც ირკვევა, ეს აფიქსი მხოლოდ ქართული წარმოშობის ფუძეებთან დასტურდება, ამასთან ძირითადად ერთმარცვლიანი ძირების საწარმოებლად გამოიყენება. საკვლევ მასალაში როგორც ეს საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, „უ-ურ“ კონფიქსიანი ფორმები „უ-ო“ -სთან შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ეს აფიქსი ძირითადად არსებითი სახელებისაგან აწარმოებს ზედსართავებს, რომლებსაც უქონლობის შინაარსი აქვთ:

უ-დაბ-ურ (ნუ გეშ., დედ., გვ., 152); **უ-ცნა-ურ-ი**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 50); **უ-ბედ-ურ-ი** (დიდრ., გვ., 186); **უ-დღე-ურ-ი** (ნუ გეშ., დედ., გვ., 21); **უ-წმაწ-ურ-ი** (მარად. კან., გვ., 583); **უ-მად-ურ-მა**(უმად., გვ., 224); **უ-ნებ-ურ-ად** (ნუ გაად., გვ., 236); **უ-გემ-ურ-ად** (უმად., გვ., 207).

„-ურ“- რაე-ნარევ ფუძეებთან, დისიმილაციით „-ულ“ სახეს ღებულობს.“უ-ურ//უ-ულ“. მაგ:

დუქანში **უ-წვერ-ულ-მა** ჯარსკაცმა შემოყო თავი და კარიდანვე იკითხა: (მზ.ლამ., გვ., 401)

„უ _ ურ“ აფიქსი მხოლოდ ქართული წარმოშობის სახელებს დაერთვის, ამასთან მხოლოდ უმარცვლო ან ერთმარცვლიან ფორმათა მაწარმოებლად გვხვდება.

ამგვარად, საკვლევი ტექსტების ანალიზი გვამღევეს იმის სამუალებას, რომ უქონლობის სახელთა მაწარმოებლები პროდუქტულ აფიქსებად მივიჩნით დუმბადის შემოქმედებაში. მწერალი უქონლობის გამოსახატავად თავისუფლად იყენებს ორივე კონფიქსს კერძოდ კი: „უ-ო“ და „უ-ურ“, ამათგან კი უფრო ფროდუქტულია „უ-ო“ კონფიქსი: „უ-ენ-ო“; „უ-აზრ-ო“; „უ-საზღვრ-ო“; „უმწიკლ-ო“; „უ-რჯულ-ო“. ძირითადად „უ-ო“ კონფიქსი უქონლობის სახელებს არსებითი სახელებისაგან აწარმოებს.

საკვლევი ტექსტებში ვხვდებით ზედსართავისაგან ნაწარმოებ უქონლობის სახელებსაც, მაგ: „უ-კმაყოფილ-ო“; „უ-ლამაზ-ო“. ჩვენთვის საინტერესო აფიქსი, საკვლევი ტექსტებში გვხვდება რთული სახელების შემადგენელ ნაწილადაც: „უ-ცხვირპირ-ო“; „უ-წვერულვამ-ო“; „უ-თვისტომ-ო“.

როგორც აღვნიშნეთ უქონლობის სახელები ძირითადად საზოგადო სახელებისაგან იწარმოება, მაგრამ დუმბადესთან გვხვდება ანთროპონიმებით ნაწარმოები უქონლობა(უყოლობა) მაგ: „უ-კუკარაჩა-ო-დ“.

რაც შეეხება „უ-ურ/ულ“ აფიქსს, იგი პირველ მაწარმოებელთან შედარებით, ჩვენს საანალიზო ტექსტებში, ნაკლებადაა წარმოდგენილი: „ უ-ნებ-ურ-ი“; „ უ-გემ-ურ-ი“; „უ-ბედ-ურ-ი“; „უ-მად-ურ-ი“;

§ 4. წარმომავლობის სახელები

ქართულ სამწერლობო ენაში სადაურობა-წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენება შემდეგი აფიქსები: „-ელ“; „-ურ“; „-იურ“; „-ეულ“ და „-დელ“. საზოგადოდ, ქართულში ადამიანი და არაადამიანი, ნივთი, მკაცრადაა გამიჯნული. ამგვარმა დაყოფამ ასახვა სიტყვათწარმოებაშიც ჰპოვა. ზემოთ მოცემულ აფიქსთაგან „-ელ“ სუფიქსი მიიჩნევა ადამიანის წარმომავლობის მაჩვენებლად, ხოლო „-ურ“ სუფიქსი კი საგნის(ნივთის) სადაურობას აღნიშნავს. არნოდ ჩიქობავას აზრით ამ სუფიქსების ასეთი დაპირისპირება მეორეული მოვლენა უნდა იყოს და კლას-კატეგორიების აღსანიშნავად თავდაპირველად პრეფიქსები გამოიყენებოდა, კერძოდ

ადამიანის კატეგორიას გამოხატავდა „მ-„ პრეფიქსი, ხოლო ნივთთა კლასს ძირითდად „ს- „ პრეფიქსი აღნიშნავდა(ჩიქობავა:1942:142).

„-ელ“ სუფიქსი, როგორც მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, დაერთვის გეუგრაფიულ და ადგილის გამომხატველ სახელებს და დასახელებული პუნქტის მცხოვრებს, მკვიდრს აღნიშნავს.

სადაურუბის აღმნიშვნელი სახელები, უხვად არის წარმოდგენილი ნ. დუმბაძის შემოქმედებაშიც. აქაც ტრადიციულად ნაწარმოები სახელის ფუძე, მიგითითებს იმას თუ რომელ გეოგრაფიული ადგილის მკვიდრზე არის საუბარი:

ქართველ-ი(მზლამ., გვ.,478); ამერიკელ-ი (მზ.ლამ., გვ., 399); გერმანელ-ი (მზ. ლამ., გვ., 400); მესოპოტამიელ-ი-ა (თეთრ.ბაირ., გვ., 302); ტანგანიკელ-ი (თეთრ. ბაირ., გვ., 302); აზიერბაიჯანელ-ი (კუკარაჩ., გვ., 51); მელექედურელ-ი (ყანწ., გვ., 304); ნოსირელ (კუკარაჩ., გვ., 46); ებრაელ-ი-ც (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 91); ბათუმელ-მა (მე ვხედ.მზ., გვ.,312); თბილისელ-ი (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ.,145); სოხუმელ-ი (ჰელად., გვ.,87); ქალაქელ (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ.,96);სოფელელ-ი (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ.,170);გურიელ-ო(კუკარაჩ., გვ.,8); წყნეთელ-ი (კუკარაჩ., გვ., 10); სამგორელ (მზ.ლამ., გვ., 393); ხონელ-ებს (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 32); ჩოხატაურელ-ი (თეთრ.ბაირ., გვ., 302);გუთურელ-ი (დიდრ., გვ., 172); სურებელ-ი (მე, ბებ. ილ. და ილარ., გვ., 87); მღვიმელ-ი(მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ.,160); ზეოლიეთელ-ი(ნუ გეშ., დედ.,!გვ., 13)

შემდეგ მაგალითში „-ელ“ სუფიქსიანი ფორმა მიმდევრობას აღნიშნავს:

-პატრული ვარ, ძია რუბენ, სამხედრო ვარ, ჯარისკაცი ვარ, წითელარმიელ-ი ვარ!-ავყვირდი მე.(ნუ გეშ., დედ.,!გვ., 94)

როგორც საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, „-ელ „სუფიქსიანი სახელები, მიუთითებენ ამა თუ იმ სოფლის, ქალაქის თუ ქვეყნის მკვიდრის წარმომავლობას. „-ელ“ მაწარმოებელმა, შესაძლოა მიგვითითოს რომელსამე უზნის მკვიდრის სადაურობაზეც. მაგალითად: ვაკელი, ვერელი და ა.შ.:

უბნ-ელ-ი (ჰელად., გვ.,98); სვანეთისუბნ-ელ(კუკარაჩ., გვ., 33); ვაკ-ელ-ი (კუკარაჩ., გვ., 75); ნახლოვკ-ელ (კუკარაჩ., გვ., 26); ბაგ-ელ-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 56); ვერ-ელ-ი (მარად.კან., გვ.,500); სოლოლაკ-ელ-ი (მარად.კან., გვ.,506)

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ძველ ქართულში სახელებს რომლებსაც „-ის“ და „-ეთ“დაბოლოება ჰქონდათ, მათ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი პირდაპირ ფუძეზე დაერთოდა. შესაბამისად, „წავკისელის“ ნაცვლად გვქონდა „წავკელი“ . თუმცა თანამდროვე ქართულმა მსგავს წარმოებაზე უარი თქვა და დღეს გვაქვს „თბილის-ელ- ი“ და არა „თბილელი“ (შანიძე:1980:127).თუმცა როგორც მაგალითებითაც ჩანს, უცხო ქვეყნის წარმომავლობის სახელებში ძველი წარმოებაა შენარჩუნებული. რამეთუ „ფინეთელის“ ნაცვლად გვაქვს „ფინელი“, „ესპანეთელის“ ნაცვლად „ესპანელი“ და ა. შ.:

ფინ-ელ-ებს (კუკარაჩ., გვ., 9); სპარს-ელ-მა (მზ.დამ., გვ., 397); ესპან-ელ-ი (მარად.კან., გვ.,410).

თუ ადამიანის წარმომავლობას „-ელ“ სუფიქსი აღნიშნავს, არაადამიანთა, ნივთთა სადაურობას „-ურ||-ულ“ სუფიქსი გამოხატავს. თუ დიალექტურ მასალას დავეყრდნობით, ძველ ქართულში ეს აფიქსი მხოლოდ არაადამიანთა სადაურობის მაწარმოებელი არ უნდა ყოფილიყო, მას შესწევდა ძალა ადამიანის წარმომავლობაც გამოეხატა. ზოგიერთ კილოში დღესაც ინარჩუნებს ამ ძალას. საანალიზო მასალაში კი აღნიშნული აფიქსი, ნივთთა სადაურობის გამოსახატავადაა გამოყენებული:

ბომ-ურ(ბომ., გვ., 135); ჰინდ-ურ (თეთრ. ბაირ., გვ., 243); ჩეხ-ურ (თემ.ლენგ., გვ., 316); იაპონ-ურ-ი (თეთრ.ბაირ., გვ., 298); ბალდად-ურ-ი (მარად.კან., გვ.,405); ტეხას-ურ-ი (დიდრ., გვ., 181); თბილის-ურ-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 77);ლათინ-ურ-ი(თეთრ. ბაირ., გვ., 226); ცოლიკა-ურ-ი (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 54); კოლხ-ურ-ი (ნუ გემ., დედ.,!გვ., 82); ინგლის-ურ-ი-ც (კუკარაჩ., გვ., 62); ფასანა-ურ-ის (თემ.ლენგ., გვ., 315) ; ლაზ-ურ-ი(ნუ გემ., დედ.,!გვ., 196); ლეკ-ურ-ი (მარად. კან., გვ., 587); ხეთ-ურ-ი(ნუ გემ., დედ.,!გვ., 82); ელინ-ურ(ნუ გემ., დედ.,!გვ., 82);იაპონ-ურ (ნუ გაად., გვ., 236).

დასახელებული „-ურ“ აფიქსი გვხვდება გვარების მაწარმოებლადაც:

ჩვენი დასაცინი რა გჭირს , წიკლა-ურ-ო, ერთი კვირის წინ გაზეთი წაგიკითხავს! (მზ.ლამ., გვ., 392).

მიმდევრობას გამოხატავს „- ურ“ სუფიქსი ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში:

ფაშისტ-ურ (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 69); კაპიტალისტ-ურ (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 93); სოციალისტ-ურ-ი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 8)

ძველი წარმოების თანახმად, „-ეთ“ და „-ის“ დაბოლოებიანი გეოგრაფიულ სახელებზე „-ურ“ სუფიქსის დართვისას, შესაძლოა „-ეთ“ და „-ის“ ჩამოშორდეს:

კახ-ურ (კუკარაჩ., გვ., 10); ინდ-ურ-ი (მარად.კან., გვ., 484); თუშ-ურ-ი ქუდი მოიხადა მოხუცმა. (მარად.კან., გვ., 560); ოსმალ-ურ (კუკარაჩ., გვ., 52)

„-ურ“ წარმომავლობის სუფიქსი, რიგ შემთხვევაში, სახელთაგან თვისებას აღნიშნავს, სათანადო საგანთან მიმართებით:

მეფ-ურ-ი (მე ვხედ. მზ., გვ., 253); კაცური (მე ვხედ., მზ., გვ., 221); ადამიანურად (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 110); წითურ (მზ. ლამ., გვ., 388); დედაკაცური (მზ. ლამ., გვ., 447)

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „-ურ“ დისიმილაციით, გვაქვს „- ულ“:

ქართ-ულ-ი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 103); სპარს-ულ-ი (მარად. კან., გვ., 512); ფრანგ-ულ-ი (თეთრ.ბაირ., გვ., 225); თურქ-ულ-ი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 146); რუს-ულ (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 127); სამგორ-ულ (მზ.ლამ., გვ 393); გერმან-ულ-ი (მე, ბებ. ილიკ. და ილარ., გვ., 131); ბერძნ-ულ-ი (ჰელად., გვ., 97); ამერიკ-ულ-ი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 108); ეტრუსკ-ულ-ი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 82); არაბ-ულ-ი (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 82)

-აუ, გურ-ულ-ი ხარ? (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 88)

უკანასკნელ მაგალითში „-ურ“ სუფიქსით ნაწარმოები სახელი ადამიანზე მიგვითითებს და ეს ერთადერთი შემთხვევაა, საკვლევ მასალაში, როდესაც ეს აფიქსი ამ ფუნქციით გვხვდება.

„-იურ“ სუფიქსი არადაამიანთა სადაურობა-წარმომავლობის გამოსახატავად გამოიყენება. აღნიშნულ მაწარმოებელში ორი სუფიქსია გაერთიანებული „ივ+ურ“ (შანიძე:1980:128). „ვ“-ს დაკარგვისა და „ი+ურ“-ის შეერთების საფუძველზე მიღებული „-იურ“ აფიქსი. აქედან „ივ“ ელემენტი ძველი ბრუნვის მაწარმოებლად მიიჩნევა, ხოლო მეორე კომპონენტი იგივე წარმომავლობის „-ურ“ სუფიქსია:

კავკას-იურ-ი (ნუ გეშ., დედ., გვ., 105); მისტ-იურ-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 157); მაგ-იურ-ი (ჰელად., გვ., 89); სტომატოლოგ-იურ-ზე (ნუ გეშ., დედ., გვ., 26); სიმპათ-იურ-ი (ნუ გეშ., დედ., გვ., 133); რევოლუც-იურ-ი (თეთრ. ბაირ., გვ., 230); ბიბლ-იურ (თეთრ. ბაირ., გვ., 307); ონკოლოგ-იურ (თეთრ. ბაირ., გვ., 347); აკადემ-იურ (მზ. ღამ., გვ., 388); დიპლომატ-იურ-ი (ნუ გეშ., დედ., გვ., 143); კარდიოლოგ-იურ-ი (მარად. კან., გვ., 486); ღვთ-იურ-ი (მარად. კან., გვ., 498); სენსაც-იურ-ი (მარად. კან., გვ., 538); ფილოსოფ-იურ-ი (ლიტ. ძიებ., გვ., 381); პედიკ-იურ-ი-დან (ნუ გეშ., დედ., გვ., 48); პედაგოგ-იურ-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 39); ეკონომ-იურ-ზე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 95); ეპიდემ-იურ (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 187)

“-იურ“ სუფიქსიანმა საზოგადო სახელებმა, ძირეულ საგანთან მიმართებით შესაძლოა რისიმე თვისება ან მსგავსებაც აღნიშნონ. ქვევით წარმოდგენილი „-იურ“ სუფიქსიანი ფორმა თვისებას აღნიშნავს:

საოცრად მშობლ-იურ-ი სითბო იგრძნო, გულაღმა გადმობრუნდა და ცრემლით დაბინდული თვალით ახედა ზეცას. (მარად. კან., გვ., 497)

ამ წარმოებაში შემოდის, უცხო წარმოშობის „ივ“-ზე დაბოლოებული ფორმები, რომლებსაც დართული აქვთ ქართული „-ურ“ სუფიქსი, მთი ერთობლიობა იგივე შედეგს გვაძლევს. ამგვარი შეერთების შედეგად დუმბადის შემოქმედებაში გვხვდება ფორმა „აქტიური“ :

ვანიჩკა ბიძია მაინცდამაინც აქტ-იურ მონაწილეობას არ იღებდა აურზაურში, (გეშ., დედ., გვ., 69)

„-ეულ“ აფიქსი პირთაგან წარმომავლობას აღნიშნავს და დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს. თუმცა როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, იგი იფართოებს ფუნქციებს და აღნიშნავს ჯიშს, რომელიც აერთიანებს

სხვადასხვა სახის საგანს. აღნიშნული მაწარმოებლის ფუნქციაა საგანთა კრებითობაც წარმოგვიდგინოს, სწორედ, არსებით სახელზე დართვით სხვადასხვა საგნის სიმრავლეს გამოხატავს.

შემდეგ მაგალითებში „-ეულ“ სუფიქსი დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს და წარმომავლობას გამოხატავს:

მამის-ეულ-ი(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 136); **დედის-ეულ-ში**(მე ვხედ. მზ., გვ., 288);**მირანდუხტის-ეულ-ი** (მარად.კან., გვ., 583);

„-ეულ“ სუფიქსის დართვა ხდება მარტივ ფუძეებზეც:

თვით-ეულ-ი (მე, ბებ., ილიკ., და ილარ., გვ., 93);**შორ-ეულ** (მე, ბებ., ილიკ., და ილარ., გვ., 154).

ქვემოთ მოცემული ერთადერთ მაგალითში „-ეულ-ს“ ჩენაცვლა „-ოულ“ აფიქსი:

-აგი ქალი არ გაუშვა **დედის-ოულ-ს**, ბაბა! - უბარებს ვაჟი ასალოს და ცოლს თავზე უსვამსხელს (მე ვხედ. მზ. გვ., 200).

ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში საგანთა კრებითობაა გამოხატული:

ბოსტნ-ეულ-ს(ბოშ., გვ.,133); **ფხალ-ეულ-ზე** (ბოშ., გვ.,137); **ბეწვ-ეულ-ის**(მარად. კან., გვ.,538); **თეთრ-ეულ-ს-ა** (მარად.კან., გვ.,407).

„-ეულ“ სუფიქსი რიცხვითი სახელებისგანაც აწარმოებს ფორმებს:

ხუთ-ეულ-ში (მარად.კან., გვ.,500); **ათ-ეულ-ში**(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 38); **ოც-ეულ-ი**(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 161); **ას-ეულ-ში** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 25).

წარმომავლობის მაწარმოებელ სუფიქსადაა მიჩნეული „-დელ“ აფიქსი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული მაწარმოებელი მიჩნეულია რთული აგებულების სუფიქსად „დ-ელ“ ამ აფიქსის პირველი ნაწილი, მიღებული ჩანს „დლ“-ისაგან, რომელიც ძირითადად დროის გამომხატველ სიტყვებთან გამოიყენება და

გამოხატავს წარმომავლობა-როდინდელობას(შანიძე:1980:130). ჩვენს საკვლევ მასალაშიც დასტურდება აღნიშნული აფიქსით ნაწარმოები ფორმები:

დღევან-დელ-ი (ჰელად., გვ.,100); **გუშინ-დელ** (ნუ გეშ., დედ.,!გვ., 51); **წინან-დელ-ი** (თეთრ.ბაირ., გვ., 348); **მაშინ-დელ-ი** (მარად.კან., გვ.,506); **წუხან-დელ-ი** (თემ.ლენგ., გვ., 319); **ხვალინ-დელ-ი** (მარადისობის კანონი, გვ.,538);**ეხლან-დელ-მა**(მარად.კან., გვ.,563); **წლევან-დელ**(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 198); **წრევან-დელ-ი** (მე ვხედ. მზ. გვ., 240); **შარშან-დელ-ი** (ნუ გაად., გვ., 236); **გუშინწინ-დელ-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,56); **მაშნ-დელ-ი-ვით**(მე ვხედ. მზ. გვ., 259); **პირვან-დელ** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 178); **ქორწილისდროინ-დელ-ი** (ბომ., გვ., 137);**ომისდროინ-დელ-ი** (მარად.კან., გვ.,567);

ამდენად, საკვლევ ძეგლებში ადამიანის სადაურობას ძირითადად აწარმოებს „-ელ“ სუფიქსით, რომელიც პროდუქტულობით გამოირჩევა მაგ: „ქალაქ-ელ-ი“; „სოფლ-ელ-ი“; „წყნეთ-ელ-ი“; „ბათუმ-ელ-ი“; თბილის-ელ-ი“; „სამგორ-ელ-ი“;

ხშირად გამოიყენება, აგრეთვე „-ურ“ სუფიქსი, მაგ: „კახ-ურ-ი“; „ლაზ-ურ-ი“; „თუმ-ურ-ი“; „ლევ-ურ-ი“; „ელინ-ურ-ი“;

შედარებით მცირე რაოდენობით „-ეულ“ აფიქსით ნაწარმოები სახელები, რომლებიც პირთაგან წარმომავლობას გამოხატავენ და როგორც წესი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელებს დაერთვის, მაგ: „მამის-ეულ-ი“; „დედის-ეულ-ი“.

რაც შეეხება უკანასკნელ წარმომავლობის მწარმოებელ „-დელ“ აფიქსს, იგი საკვლევ ტექსტებში ძირითადად დროის აღმნიშვნელ სახელებთან შეგვხვდა მაგ: „დღევან-დელ-ი“; „წლევან-დელ-ი“; „შარშან-დელ-ი“; „გუშინწინ-დელ-ი“; „ეხლან-დელ-ი“.

§ 5. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლად ქართულ ენაში გვხვდება შემდეგი აფიქსები: „-ობა“, „-ება“ და „სი--ე“. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული „-ობა“ რთული აფიქსია და იგი საწყისური წარმოშობისაა. ეს სუფიქსი, აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს არსებითი სახელებისაგან. ქვემოთ მოყვანილი ფორმები არსებითი სახელებისგანაა ნაწარმოები:

ყრმ-ობა (მარად. კან., გვ., 586); კაც-ობა(მე ვხედ. მზ., გვ., 234); ვაჟკაც-ობა(მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ.,139); ბავშვ-ობა(მზ. ღამ., გვ.,361); სტუდენტ-ობა (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ.,142); ბიჭ-ობა-მ(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 55); გმირ-ობა(კუკარაჩ., გვ.,9); ქართველ-ობა (თეთრ. ბაირ., გვ., 260); ადამიან-ობა (მარად. კან., გვ.,527) მეგობრ-ობა (კუკარაჩ., გვ., 54); მთავრ-ობა (მე ვხედ. მზ., გვ., 250); თხუნელ-ობა (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 28); ჭრილ-ობა (მე ვხედ. მზ., გვ., 228); თევზა-ობა (მე ვხედ. მზ., გვ., 261);ტყვე-ობა (კუკარაჩ., გვ., 10); ვაჭრ-ობა(მე ვხედ.მზ., გვ.,308); ქურდ-ობა(მზ. ღამ., გვ.,470); ნადირ-ობა (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ.,141); მგზავრ-ობა (სისხლ., გვ., 293); თანამშრომლ-ობა (თეთრ. ბაირ., გვ., 340); კოლმეურნე-ობა (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ., 60); მაიმუნ-ობა-ს (მარად. კან., გვ.,539); ჯანმრთელ-ობა-ს (მზ. ღამ., გვ.,478); დან-ობა-ნ-ა (კუკარაჩ., გვ., 54); ხაზარულ-ობა(ხაზარ., გვ., 147); მრეწველ-ობა-ს (მარად. კან., გვ., 590); მეურნე-ობა-ში(ჰელად., გვ.,88); კოლმეურნე-ობა-ში (მე ვხედ. მზ., გვ., 293); ყმაწვილ-ობა-ში (მე ვხედ. მზ. გვ., 224); შაირ-ობა-ში (მარად. კან., გვ.,560); ქალიშვილ-ობა-ში (გაუმარჯ. გიგილ., გვ.,341); ყაჩაღ-ობა (მარად. კან.გვ.,435).

ქვემოთ წარმოდგენილი აბსტრაქტული სახელები, კი ზედსართავი სახელებისგანაა ნაწარმოები:

ყორ-ობა(ჰელად., გვ.,105); მშვიდ-ობა (მე ვხედ.მზ., გვ.,324);ხულიგნ-ობა(ჰელად., გვ.,90); ნერვიულ-ობა(მზ. ღამ., გვ., 377).

ქვევით წარმოდგენილ მაგალითებში, „-ობა“ სუფიქსი რთული სიტყვის მეორე კომპონენტზეა დართული: ძმკაც-ობა(კუკარაჩ., გვ., 20); ყმაწვილკაც-ობის(მარად.კან., გვ., 586); გვირაბთმშენებლ-ობა(მარად.კან., გვ., 591);თავმოყვარე-ობა

(მზ.ლამ., გვ., 414); კაცთმოყვარე-ობა(თეთრ.ბაირ., გვ., 268); ცნობისმოყვარე-ობა(კუკარაჩ., გვ., 65); კუკუდამალ-ობა-ნ-ა-ს (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 56).

აბსტრაქტულ სახელთა წარმოებისას გვხვდება სხვადასხვა აფიქსებით ნაწარმოები სახელების ხელახალი წარმოების შემთხვევები. მაგ:

უ-სამართლ-ობა (მზ.ლამ., გვ.,360); უ-შაქრ-ობა (მე ვხედ.მზეს., გვ., 227); უ-ცნაურ-ობა (მზ.ლამ., გვ.,456); უ-მრავლეს-ობა-ს(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 55); ჯარ-იან-ობა-ა (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 52); პირ-იან-ობა-ს (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 37); მშვიდობ-იან-ობ-ის(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 90); თნასწორუფლებ-იან-ობა (თეთრ.ბაირ., გვ., 302); ანტიპატ-იურ-ობა (კუკარაჩ., გვ.,22).

აბსტრაქტული სახელები ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში მოიკვეცენ ბოლოკიდურ „-ა“ ხმოვანს და შესაბამისად, მაწარმოებელი, „-ობა“ სუფიქსი შეკვეცილი სახითაა წარმოდგენილი: კოლმეურნე-ობ-ის(მე ვხედ. მზ., გვ., 239); ბანა-ობ-ის (მე ვხედ. მზ., გვ., 257); თანხმ-ობ-ის (მე ვხედ. მზ., გვ., 257); ახალგაზრდ-ობ-ის (კუკარაჩ., გვ., 8); მარადის-ობ-ის (მარად. კან., გვ., 605); ზრდილ-ობ-ის (მე ვხედ.მზ., გვ.,327);ლანქრ-ობ-ის (მე ვხედ.მზ., გვ.,341);კაცობრი-ობ-ის (მზ. ლამ., გვ., 423);ჭიდა-ობ-ის(თეთრ. ბაირ., გვ., 287).

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში, პროფესიის აღმნიშვნელი სახელებისგანაა ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები:

მერიქიფე-ობა (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 159);ფოსტალიონ-ობა (მე ვხედ. მზ., გვ., 251);მესაზღვრე-ობა(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 105); ექიმ-ობა (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 26); კაპიტნ-ობა (მარად. კან., გვ.,490).

აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად გარდა სუფიქსებისა, გამოიყენება პრეფიქს-სუფიქსიც: „სი-ე „ ეს მაწარმოებელი „-ობა“ სუფიქსის ბადალია, თუმცა მათ შორის განსხვავებაა. „-ობა“ სუფიქსი ისეთი სახელთა ფუძეებისაგან აწარმოებს ფორმებს, რომლებიც აღნიშნავენ საგანს, ხოლო „სი-ე“ ისეთისაგან, რომლებიც ნიშნის ან თვისებას გამოხატავენ. „სი-ე“ კონფიქსი, მიმდებარის გაქვავებულ ფორმათაგან ან ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან აწარმოებს სახელებს(შანიძე:1980:131). გვაქვს ისეთი ფორმებიც, რომლებსაც პარალელულად

დაერთვის „- ობა „და „სი-ე „ აფიქსები. შესაძლებელია ზოგიერთ ფორმაში „სი-ე“ აფიქსს, „-ეზაც“ შეენაცვლოს. „სი-ე“ აფიქსიანი ფორმები, უხვად გვხვდება დუმბადის შემოქმედებაში:

სი-ცოცხლ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 213); სი-ფრთხილ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 222); სი-სველ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 222); სი-ციფ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 257); სი-მდაბლ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 300); სი-ფართ-ე (მზ. ლამ., გვ., 358); სი-სულელ-ე (მზ. ლამ., გვ., 385); სი-მართლ-ე (მზ. ლამ., გვ., 395); სი-მთვრალ-ე (თეთრ. ბაირ., გვ., 362); სი-ჩუმ-ე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 69); სი-ცრუ-ე (თეთრ. ბაირ., გვ., 316); სი-სუფთავ-ე (თეთრ. ბაირ., გვ., 303); სი-ნათლ-ე (თეთრ. ბაირ., გვ., 389); სი-ზნელ-ე-ს (მე ვხედ. მზ., გვ., 292); სი-ამაყ-ე (მარად. კან., გვ., 506); სი-ფხიზლ-ე (მარად. კან., გვ., 410); სი-მწარ-ე (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 42); სი-მხურვალ-ე (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 63); სი-მძიმ-ე (მარად. კან., გვ., 540); სი-სუსტ-ე (მარად. კან., გვ., 534); სი-მარტოვ-ე (უმად., გვ., 219); სი-ნედლ-ე-ს (მონატრ., გვ., 261); სი-ხმელ-ე (ხაზარ., გვ., 144); სი-ცარიელ-ე (უმად., გვ., 216); სი-ვარვარ-ე-ს (მარად. კან., გვ., 497); სი-მსუყ-ე-ს (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 110); სი-ბერ-ე-ში (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ., 81); სი-ლამაზ-ე-ში (ძალდ., გვ., 192); სი-წყნარ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 216).

აბსტრაქტული სახელების წარმოებისას, ზოგიერთ ზედსართავ სახელს, რომელიც ბოლოვდება „ილ-ზე“ და „ელ-ზე“, მოეკვეცება ძველი სუფიქსები. შესაბამისად, „გრძელისაგან“ ვღებულობათ „სიგრძეს“, „ცხელისაგან“ - „სიცხეს“ და ა.შ. მაგ:

სი-გრძ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 257); სი-ცხ-ე (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 100); სი-კეთ-ე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 69); სი-ვრც-ე-ს (მონატრება, გვ., 265); სი-თხ-ე-ს (ხაზარ., გვ., 154).

უკანასკნელი ფორმაც ამგვარი აგებულებისაა, თუმცა მას კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მიღებული.

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში, „სი-ე“ აფიქსიან, აბსტრაქტულ სახელებს, ისე როგორც სათანადო ფუძის სხვა სახელებს ეკვეცებათ ფუძე და ამ ბრუნვის

ფორმაში მხოლოდ პრეფიქსია წარმოდგენილი. მაგალითად სიმწარე - სიმწრის, სიზუსტე-სიზუსტით:

სი-მწრ-ის(უმად., გვ., 217); **სი-ამაყ-ის** (მარად.კან., გვ.,536); **სიზუსტ-ით** (ლიტ.ძიებ., გვ., 381); **სისწრაფ-ით** გემ., დედ.,! გვ., 194).

„ფერის“ აღმნიშვნელი, ზედსართავი სახელებისაგან, „სი-ე“ კონფიქსი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, ამ ტიპის ფორმებიც დასტურდება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში:

სი-წითლ-ე-ს (ნუ გემ., დედ.,! გვ., 168); **სი-მწვან-ე** (მონატრ., გვ., 261); **სი-შავ-ე** (მზ.ლამ., გვ., 409); **სი-ლურჯ-ე-მ**(დიდრ., გვ., 180);**სი-თეთრ-ე-მდე** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 30).

რამდენიმე სიტყვაში, „სი--ე“ კონფიქსის ნაცვლად გვხვდება „სი--ო“. ამგვარი წარმოება გვაქვს ისეთ სახელებში, რომლებსაც ბოლოკიდურად ბაგისმიერი „ბ“ ან უმარცვლო „უ“მოუდის. მაგ:**სი-ტკბ-ო** (ბოშ., გვ.,137); **სი-თბ-ო** (ბოშ., გვ.,137); **სი-სხ-ო** (მე ვხედ. მზ., გვ., 257).

აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ქართულ ენაში გამოიყენება სუფიქსი „-ება“-ც. წარმოშობით ეს აფიქსი ისეთივეა როგორც „-ობა“ სუფიქსი. აღნიშნული მაწარმოებელი აბსტრაქტულ სახელებს ძირითადად ისეთი სახელის ფუძისაგან აწარმოებს, რომლებიც გამოხატავენ საგნის ნიშანს ან თვისებას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში „-ება“ სუფიქსმა შეიძლება აწარმოოს განყენებული სახელები, რიცხვითი სახელისაგან, არსებითისაგან, ნაცვალსახელისაგან ან ზმნისართისაგანაც კი.„-ება“ სუფიქსით ნაწარმოები შემდეგი აბსტრაქტული სახელები გვხვდება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში:

უბედურ-ება (მე ვხედ. მზ., გვ., 264); **პატიოსნ-ება** (მზ. ლამ., გვ., 386); **ხნოვან-ება-ს** (მარად.კან., გვ., 418); **წესდ-ება-სა** (მარად.კან., გვ., 534); **ირონიზირ-ება** (მარად. კან., გვ., 540); **მყუდრო-ება-ს** (მარად. კან., გვ., 553); **ხელოვნ-ება**(მარად. კან., გვ., 567); **ბოროტმოიქმედ-ება** (მარად. კან., გვ., 575); **საოცრ-ება-ს**(მარად. კან., გვ., 581); **საკუთრ-ება-ა**(მარად. კან., გვ., 585); **სათნო-ება** (მარად. კან., გვ., 599); **უმანკო-ება**(მარად. კან., გვ., 599); **მომსახურ-ება-ს** (აგარ. წას. წინ წასაკ. ნოვ. (სანაპ. გვ., 466);

შთაგონ-ება (სააგარა. ნოვ., გვ., 471); საზოგადო-ება(მშვიდობით ძია ბონდო!, გვ., 483);ქონ-ება (შედედებული სისხლი, გვ., 499).

„-ობა“-სგან განსხვავებით „-ება“ აფიქსი, „იერ-ზე“ დაბოლოებული ზედსართავისგანაც აწარმოებს განყენებულ აბსტრაქტულ სახელებს:

ბედნ-იერ-ება (მზ.ლამ., გვ., 382); თვალ-იერ-ება(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 104); ქვეყნ-იერ-ება (მარად.კან., გვ.,457);მეცნ-იერ-ება (მზ.ლამ., გვ., 415); ცნობ-იერ-ება(თეთრ.ბაირ., გვ., 298); ნიჭ-იერ-ება-ს(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 116); მადლ-იერ-ებ-ის (თეთრ.ბაირ., გვ., 300); ყოფ-იერ-ებ-ისა(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 79); კანონ-იერ-ებ-ის (თეთრ. ბაირ., გვ.,229); ზომ-იერ-ებ-ის (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 38).

ამდენად, როგორც მაგალითებზე დაკვირვება გვჩივენებს, საკვლევა მასალაში, ავტორი პროდუქტულად იყენებს აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელ აფიქსებს და განყენებული შინაარსის გამოსახატავად ხშირად მიმართავს „-ობა“ სუფიქსს :„ჭრილ-ობა“; „თევზა-ობა“; „ტყვე-ობა“; „ გმირ-ობა“; „ქართველ-ობა“. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება „სი-ე „კონფიქსიც: „სი-სულელ-ე“; „სი-მართლ-ე“; „სი-ჩუმ-ე“; „სი-ნათლ-ე“, „სი-ბნელ-ე“.შედარებით მცირე ოდენობით გვხვდება „-ება“ აფიქსით ნაწარმოები ფორმები: „ქონ-ება“; „საზოგადო-ება“; „შთაგონ-ება“; „ქვეყნ-იერ-ება“; „ბედნ-იერ-ება“.

§ 6. დანიშნულების სახელები

ქართულ სალიტერატურო ენაში, წყება სიტყვები რისიმე დანიშნულებას ან განკუთვნილებას, გამოხატავენ. ამ შინაარსის გამოსახატავად ენა ორმაგ მაწარმოებლებს იყენებს, პრეფიქსებს და სუფიქსებს: „სა-ე“, „სა-ო“, „სა-ურ“. დასახელებულ მაწარმოებლებს თუ დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ რომ ამ აფიქსებს საზიარო აქვთ „სა-“, პრეფიქსი და მათ შორის განსხვავებას სუფიქსები გვაძლევს. აღნიშნულ მაწარმოებელთაგან „სა-ე“ საკმაოდ პროდუქტულია და

განკუთვნილებას ან დანიშნულებას გამოხატავს. დანიშნულების სახელები, წარმოდგენილია ჩვენს საკვლევ მასალაშიც. მრავალი დანიშნულების სახელს ზედსართავის გაგება დაკარგული აქვს, ასეთი ფორმები საზღვრულის ჩავარდნის გამო გაარსებითებული არიან:

სა-ქათმ-ე (მე ვხედ. მზ., გვ., 244); **სა-ციმბირ-ე** (კუკარაჩ., გვ.,8); **სა-სიმინდ-ე** (მე ვხედ.მზ., გვ.,324); **სა-თვალ-ე** (მზ.ლამ., გვ.,358); **სა-ჯიშ-ე** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 64) ; **სა-კინძ-ე** (მზ. ლამ., გვ.,506); **სა-ქალაღ-ე** (მარად.კან., გვ.,520); **სა-მელნ-ე-ს** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 78); **სა-ყურ-ე-ც**(მარად.კან., გვ.,447); **სა-ფერფლ-ე** (მზ.ლამ., გვ., 420);

გაარსებითებული ფორმების გვერდით გვხვდება, ისეთი დანიშნულების სახელები, რომლებსაც ზედსართავის გაგება შემორჩენილი აქვთ:

სა-ბუხრ-ე კიბეს (მე ვხედ. მზ., გვ., 270);**სა-მინდ-ე** სკივრი (მე ვხედ. მზ., გვ., 278); **სა-ხაჭაპურ-ე** ფქვილის (გეშ., დედ.,! გვ., 23); **სა-ულვაშ-ე** პერანგის (უმად., გვ., 208); **სა-მკერდ-ე** ნიშნით (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 147); **სა-რძევე-ე** საქონელი(მარად.კან., გვ.,427); **სა-წულ-ე** მახათი (მარად.კან., გვ.,429); **სა-პან-ე** ყველი(მარად.კან., გვ.,435);**სა-ჩირ-ე** ვაშლს (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,55);**სა-ვენახ-ე** მიწის (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,172);**სა-სულ-ე** ორკესტრი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,93);**სა-თუთუნ-ე** ქისისკენ (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 16); **სა-ხვანჯრ-ე** ბაწარი (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 19);**სა-ნაგვ-ე** კალათაში (თეთ.ბაირ., გვ., 317);

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში დანიშნულების სახელთაშა წარმოებელი აფიქსი, მოქმედებით ბრუნვაში, ოდენ პრეფიქსითაა წარმოდგენილი:

სა-კაც-ით (კუკარჩ., გვ., 12); **სა-ნოვაგ-ით-ა** (კუკარაჩ., გვ., 28);

„სა-ე“ კონფიქსით ნაწარმოები სახელები, ჩვეულებრივ ირთავენ მრავლობითის მაწარმოებელ აფიქსს და წესის მიხედვით, ასეთ დროს ორი „ე“ იყრის თავს:

ათი წყვილი ჩექმა და ფეხსაცმელი და ოცი კაბა, ძალიან ძვირფასთვალისანი ბეჭდები და **სა-ყურ-ე-ებ-ი**.(თეთრ.ბაირ., გვ., 365)

„სა-ე“ აფიქსით ნაწარმოები ფორმები, ასევე თავისუფლად ირთავს თანდებულსაც: **სა-ჯიხვ-ე-ს-ა-კენ** (თეთრ.ბაირ., გვ., 239); **სა-ლუდ-ე-ს-თან**(თეთრ. ბაირ., გვ., 272); **სა-გიჟ-ე-ში** (თეთრ. ბაირ., გვ., 379); **სა-ზურგ-ე-ზე** (კუკარაჩ., გვ., 71)

დანიშნულების სახელებს აწარმოებს „სა-ო“ კონფიქსიც, იგი მნიშვნელობით იგივეა რაც „სა-ე“ აფიქსი, თუმცა „სა-ო“ კიდევ უფრო პროდუქტულია და თავისუფლად გამოიყენება ახალი ფორმების მისაღებად. „სა-ო“ -საგან ნაწარმოები სიტყვები ძირითადად ზედსართავი სახელებია.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „სა-ო“ აფიქსით ნაწარმოები სახელები მსაზღვრელის ფუნქციტაა წარმოდგენილი:

სა-ერ-ო სახელია(მზე, გვ., 164); **სა-ბავშვ-ო** ბაღია(გაუმარჯ.გიგილ., გვ.,348); **სა-სულიერ-ო** სემინარია(მარად.კან., გვ.,519);**სა-სიამოვნ-ო** გრძნობაა(მარად.კან., გვ.,536);**სა-ბრალდებ-ო** დასკვნა (თეთრ.ბაირ., გვ., 289);**სა-შემოდგომ-ო** გამოცდა (მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი გვ.,39);**სა-ცირკ-ო** ატრაქციონი (ნუ გეშ.,დედ.,! გვ., 67);**სა-მოქალაქ-ო** ტანსაცმელი (ნუ გაად., გვ., 236);**სა-გამოფენ-ო** დარბაზი(თეთრ. ბაირ., გვ., 268); **სა-მღებრ-ო** საამქრო (კუკარაჩ., გვ., 32); **სა-მრეწველ-ოცენტრი**(კუკარაჩ., გვ., 33); **სა-ნადირ-ო** თოფი(თეთრ. ბაირ., გვ., 358); **სა-სეირ-ო** სანახაობა(კორ., გვ., 234);**სა-ექიმ-ო**კომისია (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 87);**სა-თვალთვალ-ო** კომპეტი (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 99);**სა-ერთ-ო** მაგიდა(მარად.კან., გვ.,414); **სა-სიკვდილ-ო** განაჩენივით (მზ.დამ., გვ.,358); **სა-ოპერაცი-ო** კეტივით (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 43); **სა-მხატვრ-ო** გალერეამ (მე ვხედ. მზ., გვ., 278); **სა-ზეიმ-ო** სხდომა (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,93);**სა-მგლოვიარ-ო** განცხადებას(მე ვხედ. მზ., გვ., 287);**სა-კოლმეურნე-ო** ქონებას (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 60);**სა-შინა-ო** რვეულებს (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 67);**სა-თვალთვალ-ო** ხელსაწყოს (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 8); **სა-დედოფლ-ო** ქალს(მარად.კან., გვ.,472); **სა-თამაშ-ო** ქოლგას (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 83);**სა-ცურა-ო** აუზს (სასაფ., გვ.,123);**სა-გარეუბნ-ო** მატარებელს (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 86); **სა-გუშაგ-ო-ს** კომპი (თეთრ.ბაირ., გვ., 231);**სა-ხალხ-ო** მსაჯულ(თეთრ.ბაირ., გვ., 358); **სა-სამართლ-ო** დარბაზს (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 21); **სა-საზღვრ-ო**ზონაში (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 157); **სა-მამულ-ო** ომში(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 24); **სა-ტანკ-ო** დივიზიაში (კუკარაჩ., გვ., 10); **სა-მედიცინ-ო**ინსტიტუმი (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 39); **სა-სტუმრ-ო** ოთახში (ნუ

გემ., დედ.,! გვ., 60); **სა-პროვიზიორ-ო** სასწავლებელში(კუკარაჩ., გვ., 66); **სა-კლას-ო** ოთახში(მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ., 78);**სა-ექიმ-ო** პუნქტში (მე ვხედ.მზ., გვ., 229); **სა-გაზაფხულ-ო** არდადეგებზე (დიდრ., გვ., 174);**სა-ბრალდებულ-ო**სკამზე (ნუ გემ., დედ.,! გვ., 21); **სა-განგებ-ო** უჯრასთან (კუკარაჩ., გვ., 24); **სა-პასპორტ-ო** მაგიდის (კუკარაჩ., გვ., 65); **სა-მკურნალ-ო** მედიცინის (მარად.კან., გვ.,483); **სა-ხალხ-ო** კომისარიატის (კუკარაჩ., გვ., 13); **სა-ავტომობილ-ო** კატასტროფის (ნუ გემ., დედ.,! გვ., 13); **სა-კონტროლ-ო** წერის(მე ვხედ.მზ., გვ.,327); **სა-მწყობრ-ო** ნაბიჯით (მე ვხედ. მზ., გვ., 294);**სა-ივანობ-ო** მსხლით. (მე ვხედ. მზ., გვ.,296); **სა-თათბირ-ო** ხმით(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 63); **სა-ერთაშორის-ო** ვაგონით (მარად.კან., გვ.,538); **სა-ბავშვ-ო** ბალიდან (მზ.ლამ., გვ., 402); **სა-ოჯახ-ო** ალბომიდან (ნუ გაად., გვ., 236); **სა-გუბერნი-ო** ციხედ (თეთრ.ბაირ., გვ., 230); **სა-ნიშნ-ო** ოქროს (ბოშ., გვ., 137); **სა-მამულ-ო** ომიდან (ნუ. გემ., დედ.,! გვ., 32); **სა-მმართველ-ო-ს** თანამშრომელი (მარად.კან., გვ.,542).

„სა-ო“ აფიქსით ნაწარმოები სახელები უმეტესად ზედსართავებია, თუმცა ვხვდებით ისეთ ფორმებსაც რომლთაც, არსებითის მინიმუმენლობა აქვთ მოპოვებული:

სა-ნათესა-ო (მე ვხედ. მზ., გვ., 233); **სა-დღეგრძელ-ო** (მე ვხედ. მზ., გვ., 250);**სა-მუშა-ო**(მე ვხედ. მზ., გვ.,287);**სა-სამართლ-ო** (მე ვხედ.მზ., გვ.,332); **სა-ყელ-ო**(მზ.ლამ., გვ.,370);**სა-მეზობლ-ო** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 58);**სა-ნათესა-ო** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 59);**სა-სამართლ-ო**გაიმართა.(კუკარაჩ., გვ., 81); **სა-მხედრ-ო** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 81); **სა-სადილ-ო**(მზ.ლამ., გვ.,371); **სა-გუშაგ-ო** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 99);**სა-შემოსავლ-ო-ს** (მზ. ლამ., გვ.,361); **სა-მუშა-ო-ს**(მე ვხედ. მზ., გვ., 243); **სა-დარბაზ-ო-ს** (ნუ გემ., დედ.,! გვ., 32);**სა-მწყეს-ო-ს** (მარად.კან., გვ.,518);**სა-მჭედლ-ო-ს** (ბოშ., გვ 133);**სა-ხელმწიფ-ო-ს**(მარად.კან., გვ.,541); **სა-თევზა-ო**(ნუ გემ., დედ.,! გვ., 198); **სა-წევრ-ო-ს**(თეთრ.ბაირ., გვ., 225);**სა-მსჯავრ-ო-ს** (თეთრ.ბაირ., გვ., 230);**სა-ვაჭრო-დ.**(ჰელად., გვ.,88); **სა-კალანდ-ო-დ.** (მე ვხედ. მზ., გვ., 262); **სა-მაგიერ-ო-ს**(მე ვხედ. მზ., გვ., 264);**სა-სიკვდილ-ო-დ** (მე ვხედ. მზ., გვ., 273); **სა-ხელ-ო-თი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 50); **სა-მრეცხა-ო-ში** (თეთრ. ბაირ., გვ., 343); **სა-მზარეულ-ო-ში** (მზ.ლამ., გვ 376);**სა-დარბაზ-ო-ში** (მზ.ლამ.,გვ., 436); **სა-ავადმყოფ-ო-ში**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 42);

სა-კუჭნა-ო-ში (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 67);სა-ლარ-ო-ში(მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ., 70);სა-მრეკლ-ო-ში(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,162);სა-სადილ-ო-ში (მარად.კან., გვ.,468);სა-ბალახ-ო-ზე (მე ვხედ.მზ., გვ., 225);სა-არტისტ-ო-ზე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 95).

წყება დანიშნულების სახელებს აწარმოებს „სა-ურ“ კონფიქსი, თუმცა ეს აფიქსი ნაკლებად პროდუქტულია და იგი ჩვენს საკვლევ მასალაში ერთეულ სიტყვებში გვხვდება:

სა-თაგ-ურ-ი (მარად.კან., გვ.,418); სა-ხელ-ურ-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,153); სა-ფეხ-ურ-ია? (მზ.დამ.,გვ., 375); სა-თბ-ურ-ი (მარად.კან., გვ.,420);სა-ფას-ურ-ი.(უმად., გვ., 219); სა-მაჯ-ურ-ი(მარად.კან., გვ.,511); სა-თა-ურ-მა (ნუ გემ., დედ.,! გვ., 57); სა-გზ-ურ-ით(ნუ გემ., დედ.,! გვ., 167).

„სა-ურ“ კონფიქსით ნაწარმოები სახელები, გვხვდება თანდებულ დართულიც:

სა-ფეხ-ურ-ზე(მზ. დამ., გვ.,360); სა-დგ-ურ-ში (მარად.კან., გვ.,468); სა-ხელ-ურ-ში (მარად.კან., გვ., 595); სა-განძ-ურ-ში(ლიტ.ძიებ., გვ., 382); სა-მწყემს-ურ-ი-დან (სისხლ., გვ., 292); სა-კვამ-ურ-ებ-ი-დან (მარად.კან., გვ., 592).

ამდენად, როგორ მოპოვებულმა მასალამ აჩვენა, ავტორი აქტიურად იყენებს სათანადო აფიქსებს, დანიშნულების, თუ განკუთვნილების გამოსახატავად. ავტორი დანიშნულების აფიქსთაგან, უფრო აქტიურად იყენებს „სა--ო“ აფიქსს: „სა-ბავშვ-ო“; „სა-ოჯახ-ო“; „სა-ხალხ-ო“; „სა-მამულ-ო“; „სა-ავტომობილ-ო“. ხოლო ყველაზე იშვიათად გამოყენებული აქვს „სა--ურ“ აფიქსი. უკანასკნელი კონფიქსით ნაწარმოები ერთეული ფორმებია დამოწმებული: „სა-თაგ-ურ-ი“; „სა-ხელ-ურ-ი“; „სა-ფეხ-ურ-ი“; სა-მაჯ-ურ-ი“; სა-თბ-ურ-ი“.

„სა--ე“ კონფიქსით ნაწარმოებ სახელებს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში, ძირითადად დაკარგული აქვთ საზღვრულის გაგება და გაარსებითებული არიან, მაგ: „სა-ქათმ-ე“; სა-თვალ-ე“; „სა-სიძინდ-ე“; „სა-ჯიშ-ე“; „სა-ქალაქ-ე. თუმცა, ტექსტებში გაარსებითებული დანიშნულების სახელების გვერდით გვხვდება, ისეთი ფორმებიც რომელთაც ზედსართავის გაგება არ დაუკარგავთ, მაგ: „ სა-ხაჭაპურე-ე ფქვილი“; „ სა-ბუხრ-ე კიბე“; „ სა-წულ-ე მახათი“; „სა-სულ-ე ოჯახი“.

§ 7. წინა ვითარების სახელები

წარმოქმნილ სახელთა გვერდით დგას რიგი სახელები, რომლებსაც წინავითარების სახელები ეწოდება. აღნიშნულ სახელთა საწარმოებლად ქართულ ენაში გამოიყენება შემდეგი აფიქსები: „ნა-არ(|-ალ)“ და „ნა-ევ“. ამგვარად, დასახელებული აფიქსების დართვით იწარმოება ახალი სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს თუ რას წარმოაგენდა უწინ ეს საგანი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, წინავითარების აღნიშვნა, ქართულში სპეციფიკური მოვლენაა და მას თავდაპირველად ყურადღება ა. შანიძემ მიაქცია(ღლონტი:1964:90).

წინა ვითარების სახელთა მაწარმოებელ აფიქსებს ერთი ფუნქცია აქვთ, თუმცა ერთ ფუძესთან ერთი აფიქსი გამოიყენება მეორესთან - მეორე. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ფუძე ორივე მაწარმოებელს თანაბრად იგულებს. ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელები, სხვადასხვა სახის ნამყოფობას(წინარე ვითარებას)გვიჩვენებენ. ნ დუმბაძის შემოქმედებაში დადასტურდა შემდეგი წინავითარების სახელები:

ნა-ყვავილ-არ-ი (მარად.კან., გვ.,530);ნა-ავადმყოფ-არ-ი(მარად.კან., გვ.,497);ნა-ქეიფ-არ-ი (მზ.ლამ., გვ., 371);ნა-ჯაფ-არ-ი(ნუ გემ.,დედ.,! გვ., 137);ნა-სისხლ-არ-ი(ნუ გემ.,დედ.,! გვ., 137);ნა-ოფლ-არ-ს (მზ.ლამ., გვ.,388);ნა-მუშევ-არ-ი... (მზ.ლამ., გვ., 407);ნა-ჩუქ-არ-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 55);ნა-ცოდვილ-არ-ი(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 75);ნა-წვიმ-არ-ზე (ნუ გემ.,დედ.,! გვ., 101);ნა-ყაჩაღ-არ-ი (მე, ბებ.,ილიკ. და ილარ. გვ.,85); ნა-ტყვი-არ-ი (ძალლ., გვ., 198);ნა-ტახტ-არ-ს (ნუ გემ., დედ.,! გვ., 71);ნა-სახლ-არ-ზე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ., 64);ნა-ქალაქ-არ-ს (მარად.კან., გვ.,434);ნა-სოფლ-არ-ს(მარად.კან., გვ.,434); ნა-ნემს-არ-ი (მარად. კან., გვ.,449);ნა-ნემს-არ-ი(მარად.კან., გვ.,457);ნა-დიაკვნ-არ-ი (მარად.კან., გვ., 583); და-ნა-თოვ-არ-ი(მე ვხედ. მზ. გვ., 268);ნა-ფიც-არ-ა-ში (ნუ გაალ., გვ., 236) .ნაფიცარა ნოდარ დუმბაძის ტექსტების მიხედვით, გეოგრაფიული სახელია.

„რაე“-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციის საფუძველზე გავექვს: „ნა-ალ“ აფიქსი:

ნა-ზამთრ-ალ-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,136)

წინა ვითარების სახელთა, კიდევ ერთი მაწარმოებელია „ნა-ევ“. აღნიშნული აფიქსით ნაწარმოები შემდეგი ფორმები დასტურდება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში:

ნა-ძალად-ევ-თან (მზ.ღამ., გვ., 377); ნა-კვალ-ევ-ზე (მზ.ღამ., გვ., 425); ნა-ლაპარაკ-ევ-ს (მზ.ღამ., გვ., 447); ნა-სამართლ-ევ-ი(კუკარაჩ., გვ., 68); ნა-ბახუს-ევ-ი (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 90); ნა-ღვარ-ევ-ი(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 147);ნა-მთვრალ-ევ-ი (ნუ გეშ., დედ., გვ., 185);ნა-საუზმ-ევ-ი-ა(მარად.კან., გვ.,466); ნა-მსხვრ-ევ-ი (მარად.კან., გვ.,473); ნა-კარნახ-ევ-ის (მარად.კან., გვ.,484); ნა-ნადირ-ევ-ი (კუკარაჩ., გვ.,17); ნა-ჭრილობ-ევ-ი (კუკარაჩ., გვ., 22); ნა-მძინარ-ევ-ი (ძალღ., გვ., 204); ნა-ქალაქ-ევ-ებ-ს (მზ. ღამ., გვ., 496);ნა-ყან-ევ-ში (უმად., გვ., 207).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „ნა-ევ“-ი დაერთვის დროულ სიტყვებს, რომლებიც ძირითადად ზმნიზედებად არის გამოყენებული.

ნა-შუადღ-ევ-ს (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 204); ნა-შუაღამ-ევ-ს (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 55);ნა-ადრ-ევ-ი (მარად.კან., გვ.,456).

ამგვარდ, განხილული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ავტორი საკმაოდ ნაყოფიერად იყენებს, წინა ვითარების მაწარმოებელ აფიქსებსაც. ანალიზის დროს შეგვხვდა „ნა-არ“ აფიქსის დისიმილირებული ვარიანტი, „ნა-ალ“ , მაგ:“ ნა-ზამთრ-ალ-ი“. „ნა-არ“ აფიქსით , მასალაში ნაწარმოებია ტოპონიმიკური სახელი, კერძოდ: „ნა-ფიც-არ-ა“.

ავტორი აქტიურად იყენებს ნამყოფობის გამოსახატავად „ნა-ევ“ კონფიქსსაც: „ნა-კვალ-ევ-ი“; „ნა-ლაპარაკ-ევ-ი“; „ნა-ყან-ევ-ი“; „ნა-ქალაქ-ევ-ებ-ი“; „ნა-შუადღ-ევ-ი“;„ნა-ადრ-ევ-ი“;

§ 8. ხელობის სახელები

ადამიანთა ხელობის-საქმიანობის გადმოსაცემად ენა იყენებს შემდეგ აფიქსებს: „მე-ე“ ,“მე-ურ||ულ“. აქვე უნდა აღინიშნოს ჩიქობავას მოსაზრება, რომელიც თვლის რომ პროფესიის აღმნიშვნელი სახელების წარმოებისას გამოყენებულია ადამიანის კლასის მაწარმოებელი პრეფიქსი, კერძოდ „მ-„ . პროფესიის მაწარმოებელი სახელები ამ პრეფიქსს იყენებდნენ როგორც ძველ ისე ახალ ქართულში (ჩიქობავა:1942:168). ზევით დასახელებული აფიქსები ხელობის სახელებს არსებითი სახელის ფუძეზე დართვით აწარმოებენ.

მე-ე:

მე-ეზოვ-ე (კუკარაჩ., გვ., 63); მე-ისტორი-ე (მარად.კანონ., გვ.,529); მე-ყავ-ე (ქალაქ.მიმინ. რა უნდ.,?! , გვ., 110); მე-თუთუნ-ე (ძალი, გვ., 195); მე-საზღვრ-ე (ნუ გეშ., დედ.,! , გვ., 8); მე-საათ-ე(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 48); მე-კუბოვ-ე (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 53); მე-საფლაფ-ე (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 53); მე-ბუფეტ-ე (თეთრ.ბაირ., გვ., 229); მე-ხოტბ-ე (მზ.ღამ., გვ., 398); მე-არღნ-ე (მზ.ღამ., გვ.,400); მე-მწვანილ-ე (ჰელად., გვ.,95); მე-საზღვრ-ე (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 144); მე-ტყეფ-ე (თეთრ.ბაირ., გვ., 246); მე-წარმ-ე (თეთრი ბაირადი, გვ., 230)მე-თეფზ-ე-ა, .. (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 99); მე-ნავ-ე-მ (მარად.კან., გვ.,402); მე-ცხვარ-ე-ს (მარად.კან., გვ.,557); მე-დუდუკ-ე-ებ-თან (თეთრ.ბაირ., გვ., 273); მე-შუმ-ე-ს-თან (თეთრ.ბაირ., გვ., 381); მე-წისქვილ-ის (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,50); მე-ხაშ-ის (კუკარაჩ., გვ.,8); მე-ველ-ე-დ (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 61); მე-ეზოვ-ე-ებ-ო(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 165); მე-ჯღან-ე (მარად.კან., გვ.,421);

ჯღანი ეწოდება დახეულ ან ცუდად შეკერილ ფეხსაცმელს, ხოლო მეჯღანე-ძველი ფეხსაცმელის დამკერებელს აღნიშნავს.

მე-რიქიფ-ე-ს.(უმად., გვ., 225)

მერიქიფეს უწოდებენ ადამიანს, რომელიც სუფრაზე ღვინოს აწოდებს.

ადამიანის ხელობის საწარმოებლად გამოიყენება „მე-ურ||ულ“ აფიქსიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აფიქსით ნაწარმოები ფორმები, არც თუ ისე, მრავლად არის

წარმოდგენილი დუმბადის შემოქმედებაში. კვლევის შედეგად სულ რამდენიმე ერთეული ფორმის აღმოჩენა შევძელით:

მე-ჩონგ-ურ-ე (ყანწ., გვ., 303); მე-თა-ურ-ი(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 91); მე-ბად-ურ-ებ-მა (ჰელად., გვ.,109); მე-ზღვა-ურ-ებ-ს (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 78).

ამგვარად, ნოდარ დუმბადის შემოქმედებაში, გვხვდება ხელობის სახელები. ამ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია სალიტერატურო ქართულ ენაში დამკვიდრებული ორივე აფიქსი. კერძოდ: „მე-ე“ - „მე-ეზოვ-ე“; „მე-ჯღან-ე“; „მე-ისტორი-ე“; „მე-ყავ-ე“; „მე-საათ-ე“; „მე-თუთუნ-ე“; „მე-საზღვრ-ე“; „მე-ხოტბ-ე“; და „მე-ურ“ - „მე-ჩონგ-ურ-ე“; „მე-ზღვა-ურ-ი“; „მე-ბად-ურ-ი“; „მე-თა-ურ-ი“;

§ 9.რიგობით და წილობითი სახელები

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. საგნის რიგის აღსანიშნავად, რაოდენობით რიცხვით სახელს ერთვის სპეციალური აფიქსი - „მე-ე“. როგორც სათანადო ლიტერატურაშია აღნიშნული, რიგობითი სახელების, მაწარმოებელი პრეფიქსი იგივეა რაც, ხელობის სახელთა მაწარმოებელი „მე-ე“ აფიქსი. არნოლდ ჩიქობავა რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელ „მ-“, პრეფიქსსაც აკავშირებს ადამიანის კლასის გამოხატვასთან. თუმცა, როგორც ავტორი აღნიშნავს: „ რიცხვით სახელებში კლას-კატეგორიათა გარჩევა ყველაზე ადრე უნდა მოშლილიყო“ (ჩიქობავა:1942: 181).საკვლევ ტექსტებში რიგობითი სახელები უხვად დაიძებნა. გვხვდება როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძიანი ფორმები. თავდაპირველად წარმოვადგენთ მარტივფუძიან რიგობით სახელებს:

მე-ორ-ე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 72); მე-ორ-ე (მზ.ლამ., გვ.,359);მე-სამ-ე (მზ.ლამ., გვ.,357); მე-სამ-ე(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 26);მე-ოთხ-ე (მზ. ლამ., გვ.,363); მე-ხუთ-

ე(მზ.ლამ.,გვ., 375); მე-ექვს-ე(მზ.ლამ.,გვ., 375); მე-შვიდ-ე(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 68);მე-ცხრ-ე (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ.,86); მე-ათ-ე (თეთრ.ბაირ., გვ., 241);მე-ას-ე-დ (კუკარაჩ., გვ., 65)

ის რთული რიგობითი სახელები, რომელებიც უკავშიროდ არიან შეერთებული, „-მე-ე“ კონფიქსს ისევე დაირთავენ როგორც მარტივფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელები:

მე-თერთმეტ-ე (კუკარაჩ., გვ., 48); მე-ცამეტ-ე (ჰელად., გვ.,90); მე-თხუთმეტ-ე (თეთრ.ბაირ., გვ., 223)

წარმოების თვალსაზრისით განსხვავებულ ჩვენებას გვაძლევს „პირველი“. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ სიტყვას საფუძვლად უდევს ქართული- „პირი“. პირველი წინ მდგომს უნდა ნიშნავდეს. ამ სიტყვას მოეპოვება პარალელული ფორმა „მეერთე“ (შანიძე:1980: 135).

- პირველი, საქონლის წრებრუნვა, მეორე, ფულის ინფლაცია, მესამე აღარ მახსოვს...(მზ.ლამ., გვ.,357)

პირველის პარალელული ფორმა, რთულ სახელებში გამოიყენება:

ას-მე-ერთე-ე (უმად., გვ., 211)

„მე-ე“ კონფიქსი „და“ კავშირით შეერთებული სახელების უკანასკნელ ნაწილს დაერთვის:

ოთხმოცდა-მე-ათ-ე (მზ.ლამ., გვ.,457); ოცდა-მე-ორ-ე (მარად.კან., გვ.,482)

რაც შეეხება წილობით სახელთა წარმოებას, ეს ფორმები მიიღებიან რიგობითი რიცხვით სახელების ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან. საკვლევ ტექსტში, თუ რიგობით რიცხვითი სახელი უხვად იყო წარმოდგენილი, წილობითი რიცხვითი სახელის ერთადერთი ფორმა დადასტურდა:

უნივერსიტეტში სამი ათასამდე სტუდენტს ასწავლიდნენ, აქედან, ნახევარი სწავლობდა, ერთი მე-ოთხ-ედ-ი დიპლომს უდარაჯებდა, ხოლო დანარჩენი პროფესიას ირჩევდა(მზ.ლამ., გვ., 388).

მაშასადამე, საანალიზო მასალაში, გვხვდება საკმაოდ ოდენობით როგორც მარტივ, ისე რთულფუმიანი ფორმები რიგობითი რიცხვითი სახელებისა „მე-ორ-ე“; „მე-სამ-ე“; „მე-ოთხ-ე“; „მე-ათ-ე“; „ოცდა-მე-ორ-ე“; „ოთხმოცდა-მე-ათ-ე“;

რაც შეეხება წილობით რიცხვთ სახელებს ერთადერთი ფორმაა დადასტურებული : „მე-ოთხ-ედ-ი“.

§ 10. გეოგრაფიული სახელები

ქართულში გეოგრაფიული სახელები, სხვადასხვა წარმოშობისა და რიგისაა. ზოგადად ყველა ამ ტიპის სახელთა ჩამოთვლა და ადგილის მიჩენა საკმაოდ შრომატევადი და რთული საქმეა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაშიც ტოპონიმები მრავლადაა. შევეცდებით წარმოვადგინოთ ზოგიერთი მათგანი. გეოგრაფიულ სახელებს შესაძლოა საფუძვლად ედოთ ამა თუ იმ საგნის სახელი, შესაძლოა ეს იყოს მცენარის, ფრინველის, ცხოველის ანდა მინერალის სახელები:

ვაშლოვანის (თეთრ.ბაირ., გვ., 355); **სამტრედიაში**(თეთრ.ბაირ., გვ., 373); **სათაფლიაზე**(მე ვხედ. მზ. გვ., 226)

გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც რომელთა მაწარმოებლად გამოყენებულია იგივე აფიქსები, რომლებიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს, მაგალითად :

სა-მეგრელ-ო(ყანწ., გვ., 309); **სა-ჯავახ-ო-ს** (ბოშ., გვ., 143); **სა-ქართველ-ო-ს** (კუკარაჩ., გვ., 13);**სა-გურამ-ო-ში** (თემ.ლენგ., გვ.,316)

გარდა დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი აფიქსებისა, ტოპონიმების მაწარმოებლად შესაძლოა სხვა აფიქსებიც შეგვხვდეს:

ნაფიცარა (მე ვხედ. მზ. გვ., 257);**ნასაკირალის** (მარად.კან., გვ.,477); **ნახარებაოდან** (თეთრ.ბაირ., გვ., 235)

წყება გეოგრაფიული სახელები, შეიძლება წარმოადგენდნენ „-ის“ დაბოლოებიან ნაგენეტივარ სახელებს:

თბილ-ის-ში (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,101); **კრწან-ის-ის** (თეთრ.ბაირ., გვ., 231); **ინგლ-ის-ი**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 72)

სოფლის სახელწოდება შეიძლება მომდინარეობდეს იმ გვარის სახელწოდებიდან, რომელიც ამ ადგილას სახლობ ან სახლობდა. ამგვარი წარმოშობის უნდა იყოს დუმბაძესთან დამოწმებული სოფელი გურჯაანი:

გურჯაანის რაიონის სოფელ თელიანის აგრონომ-მექანიკოსმა გივი ივანეს ძე ბატიაშვილმა მოიგონა საკუთარი კონსტრუქციის, ერთდროული მოქმედების ვაშლის სათლელი და ნიგვზის სატეხი მანქანა.(თეთრ.ბაირ., გვ., 323)

საკურივ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოიყენება „-ეთ“ სუფიქსი. ეს აფიქსი უშუალოდ დაერთვის სახელის ფუძეს, ამგვარი წარმოების შემდეგი ტოპონიმები გვხვდება დუმბაძის შემოქმედებაში:

მცხ-ეთ-ა(სასაფ., გვ., 120); **კახ-ეთ-ი** (ნუ გეშინ.,დედ.,! გვ., 20);**რუს-ეთ-ი** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 53);**თურქ-ეთ-ს** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 72); **ქობულ-ეთ-ში** (მზ.ლამ., გვ., 383); **ოსმალ-ეთ-ში** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 24); **თონ-ეთ-ში** (თეთრ.ბაირ., გვ., 246); **ჩულურ-ეთ-ში** (მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ.,129); **ინდო-ეთ-ში**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,186); **ფინ-ეთ-ის** (კუკარაჩ., გვ., 9); **ქობულ-ეთ-ის** (კუკარაჩ., გვ., 12); **სპარს-ეთ-ის** (მზ.ლამ., გვ.,479); **სვან-ეთ-ის**(მზ.ლამ., გვ.,370);**ინდო-ეთ-ის** (კუკარაჩ., გვ., 44);**იმერ-ეთ-ის** (მარად.კან., გვ.,459); **ოზურგ-ეთ-ის** (მარად.კან., გვ.,468); **კუდუნ-ეთ-ის** (ნუ გაად., გვ., 250); **ესპან-ეთ-ის** (კორიდ., გვ., 227); **ინტაბუ-ეთ-ის** (სისხლ., გვ., 295); **პოლონ-ეთ-ის-ა** (თეთრ.ბაირ., გვ., 230).

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელ აფიქსს, შესაძლოა დაერთოს და გაძლიერდეს დანიშნულების „სა-“ პრეფიქსით:

სა-ბოშ-ეთ-ი (ბოშ., გვ., 139); **სა-ფრანგ-ეთ-ი**(კუკარაჩ., გვ., 49); **სა-ბერძნ-ეთ-ში** (კუკარაჩ., გვ., 8); **სა-სომხ-ეთ-ში**(ასტვანწ! ინჩუ ჰამარ!, გვ., 330).

მაშასადამე, გეოგრაფიულ სახელებზე დაკვივებამ გვიჩვენა რომ ავტორი ამ ტიპის წარმოქმნილ სახელებს ძალზე აქტიურად იყენებს, ამასთან გვხვდება სხვადასხვა წარმოების ტოპონიმური სახელები. ამ ტიპის ფორმები წარმოების თვალსაზრისით რაიმე თავისებურებას არ ავლენს: „კახ-ეთ-ი“; „თუშ-ეთ-ი“; „სა-ფრანგ-ეთ-ი“; „სა-ბერძნ-ეთ-ი“; „სა-ჯავახ-ო“; „სა-გურამ-ო“; „სა-ქართველ-ო“.

§ 11. ხარისხის სახელები

აკაკი შანიძე, წარმოქმნილ სახელთა ჯგუფში აერთიანებს ხარისხის სახელებსაც. საზოგადოდ ხარისხი ყველა ენას აქვს, მაგრამ წარმოების მიხედვით ერთნაირი არ არის. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხარისხის შინაარსის გამოსახატავად ენას სხვადასხვა საშუალება გააჩნია, მათგან უმთავრესია აფიქსთაგან ზედსართავის წარმოქმნა, სწორედ მათ ეწოდებათ ხარისხის ფორმები. სხვა დანარჩენი საშუალებები ან აღწერითია, ან სტილისტიკურ სხვადასხვა საშუალებას წარმოადგენს.

ხარისხის ფორმები შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ზურაბ შანშოვანს პირველ ქართულ გრამატიკაში. ვხვდებით აგრეთვე ანტონ პირველთანაც და შემდეგ დროინდელ ძველ გრამატიკოსებთან, თუმცა საკითხი სათანადოდ არიყო შესწავლილი და გაშუქებული. დღეს უკვე ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოთაა დამუშავებული.

ხარისხის ფორმები, საგნის ნიშანს მეტი ან ნაკლები ოდენობით გვიჩვენებენ, რომლებიც ზედსართავი სახელის კუთვნილებას წარმოადგენენ. საზოგადოდ, ხარისხის ფორმებს, ვითარებით ზედსართავი სახელები აწარმოებენ.

ოდნობითი და უფროობით ხარისხის ფორმებს მოეპოვებათ თავიანთი მაწარმოებელი აფიქსები. ოდნობითს აწარმოებს- „მო-ო“, ხოლო, უფროობითს- „უ-ეს“. როგორც ვხედავთ, ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება ორი აფიქსი, ამასთან

ერთი ფუნქციით. თუმცა ვიცით, რომ ქართული აგლუტინაციური ენაა და შესაბამისად ერთ აფიქსს, ერთი ფუნქცია უნდა შეესაბამებოდეს. ამიტომაც „სადაც ორი აფიქსია გამოყენებული ერთი ფუნქციით, იქ ისტორიულად ორი ფუნქცია უნდა ვივარაუდოთ“ (ჩიქობავა,1942: 127). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულად, უფროობის მაწარმოებელ პრეფიქსსაც და სუფიქსსაც თავისი დანიშნულება ჰქონდათ. დღეს სამეცნიერო წრეში გაზიარებულია, რომ უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი პრეფიქსები ქართველურ ენებში ერთნაირი წარმოშობისაა, კერძოდ „ თანხმოვნითი ელემენტი ობიექტის მესამე პირზე მიუთითებს, ხმოვნითი-სასხვისო ქცევის ნიშანს უკავირდება“ (ზურაბიშვილი:1956:113) ასევე განსხვავებული წარმოშობისადაა მიჩნეული სათანადო სუფიქსებიც. უფროობითი ხარისხის ფორმები საგნის ნიშანს უფრო მეტი ოდენობით გამოხატავენ, ვიდრე დადებითი ხარისხის ფორმები. საკვლევ ტექსტში უფროობითი ხარისხის ფორმები საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი:

უ-სიმპათიურ-ეს (მზ. ღამ., გვ., 423); უ-პირველ-ეს (მზ. ღამ., გვ., 425); უ-ლამაზ-ეს-ი (ნუ გააღ., გვ., 238); უ-არეს-ი (მზ.ღამ., გვ.,469); უ-შესანიშნავ-ეს-ი-ა (მზ.ღამ., გვ.,474); უ-დიდ-ეს-ი (მზ.ღამ., გვ.,476); უ-კეთ-ეს-ს (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,85); უ-ნეტარ-ეს-ო(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 78); უ-ძვირფას-ეს-ო(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 78); უ-ბედნიერ-ეს-ი (მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,142); უ-პატიოსნ-ეს-მა (კუკარაჩ., გვ., 47); უ-სათნო-ეს-მა(კუკარაჩ., გვ., 47);უ-მდიდრ-ეს-ი, ..(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 100); უ-მშვენიერ-ეს-ი, (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 100); უ-კოლორიტ-ეს-ი(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 100); უ-კიდურ-ეს .(მარად.კან., გვ.,497); უ-მარტივ-ეს-ი(მონატრ., გვ., 260); .უ-რთულ-ეს-ი(მონატრ., გვ., 260); უ-კეთ-ეს-ს (ხაზარ., გვ., 144)უ-გემრიელ-ეს-ი (ხაზარ., გვ., 144); უ-ზენა-ეს-ი (უმად., გვ., 220); უ-მაღლ-ეს-ი (უმად., გვ., 220); უ-სპეტაკ-ეს-ი (კორიდ., გვ., 228); უ-ლამაზ-ეს-ი (მარად.კან., გვ.,581); უ-ნეტარ-ეს-ი .(მარად.კან., გვ., 594); უ-ნიჭიერ-ეს-ი(მარად.კან., გვ., 602); უ-მარტივ-ეს-ი (მარად.კან., გვ., 604); უ-ტურფ-ეს (ლიტ.ძიებ., გვ., 381); უ-ზუსტ-ეს (ლიტ.ძიებ., გვ., 381); უ-მოკლ-ეს-ი (გაუმარჯ.გიგილ., გვ.,360); უ-კეთილშობილ-ეს-ი (თეთრ. ბაირ., გვ., 371).

ზოგიერთ ილ-ზე და ელ-ზე დაბოლოებულ სახელს, ხარისხის ფორმების წარმოების დროს, მოეკვცებათ ძველი ილ და ელ მაწარმოებელი და ასეთ დროს, ხარისხის აფიქსების დართვა თავდაპირველ ფუძეზე ხდება. ასეთი წარმოების ფორმთაგან, დუმბაძესთან გვხვდება სიტყვა უტკბესი:

„ჩემო უძვირფასესო, უნეტარესო, და სულზე უ-ტკბ-ეს-ო, სიყვარული ეს არის უდიდესი გრძნობა(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ., 78);

გულაღმა ეგდო სოფლის ფერდობზე, მზეზე თბებოდა სისოცხლეზე უ-ტკბ-ეს-ი ოხშივარი ასდიოდა(მე, ბებ., ილიკ. და ილარ. გვ.,136).

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში ოდნაობითი ხარისხის საწარმოებლად გაიყენება „მო-ო“ აფიქსი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ დამუშავებულ ტექსტებში ეს ფორმები არ დადასტურდა.

ამრიგად, როგორც საანალიზო ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა ავტორი საკმაოდ ნაყოფიერად იყენებს, უფროობითი ხარისხის ფორმებს: „უ-ლამაზ-ეს-ი“; „უ-კოლორიტ-ეს-ი“; „უ-ნეტარ-ეს-ი“; „უ-კეთ-ეს-ი“; „უ-შესანიშნავ-ეს-ი“; „უ-დიდ-ეს-ი“.

§ 12.მცენარეთა კრებული სახელები

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ ენაში მოგვეპოვება ისეთი აფიქსი , რომელიც მცენარის ფუძეს დაერთვის და გამოხატავს ისეთ ადგილს, სადაც დასახელებული მცენარე უხვად მოიპოვება. (შანიძე:1980: 144) ასეთი სუფიქსია „-ნარ“ . ეს აფიქსი ჩვენს საკვლევ მასალაშიც დადასტურდა. კერძოდ გვხვდება შემდეგი ფორმები:

გახელდა მაშინ ბეჟანა, დატრიალდა ბღავილით ჭიალოურაში და ნახევარი ქცევა ნოლ-ნარ-ი, აფრასიონას რომ სავენახედ უნდოდა,დედაბუდიანად ამოაბრუნა. (მე ვხედ.მზ., გვ., 224)

მერე დაბლა დაჰყვა ბუჩქ-ნარ-ს და მტკვრის ნაპირამდე იარა ასე...(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,162)

ამრიგად, საკვლევ მასალაში, „ნარ“ აფიქსიანი ორად ორი ფორმაა დადასტურებული. როგორც ჩანს მწერლის შემოქმედებაში ამ აფიქსმაა დიდად ვერ მოიკიდა ფეხი.

§ 13. უცხო აფიქსიანი სახელები

ქართულ ენაში მოგვეპოვება ისეთი უცხო წარმოშობის სახელები, რომელთაც მაწარმოებელი ძალა ქართულშიც მოეპოვებათ. წარმოქმნის აფიქსები, უხვად დაიძებნება უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებშიც, თუმცა ქართული ენის გრამატიკისთვის მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან ისინი მაწარმოებლად, თუ ნასესხები სიტყვების ძირეული ფორმებიც მოგვეპოვება. უცხო წარმოშობის ზოგიერთი აფიქსი შეგვხვდა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაშიც, ესენია: „ისტ“; „იზმ“, და „ხანა“.

„ისტ“ ეს აფიქსი ბერძნული წარმოშობისაა და რისიმე მიმდევრობას აღნიშნავს, გვხვდება აგრეთვე ახალ შემოსულ სიტყვებშიც:

ტროცკ-ისტ (მარად. კან., გვ.,406);**მაუზერ-ისტ-ი** (მზ. ლამ., გვ., 376); **ეკონომ-ისტ-ი**(მე, ბებ., ილიკ. და ილარ., გვ.,187); **ეკონომ-ისტ-ი**(თეთრ. ბაირ., გვ., 355); **კომუნ-ისტ-ი**(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 40); **მორფინ-ისტ-ად**(თეთრ. ბაირ., გვ., 269); **ხაშ-ისტ-ებ-ი**(მარად. კან., გვ.,499); **ჩა-ისტ-ები**(მარად. კან., გვ.,499); **ბორჯომ-ისტ-ები** (მარად. კან., გვ.,499); **ნაბელავ-ისტ-ები**(მარად. კან., გვ.,499); **მატერიალ-ისტ-ი** (მარად. კან., გვ.,500); **შარაფ-ისტ-ი** (მარად. კან., გვ.,500);**რევანშ-ისტ-ი** (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 111); **ილუზიონ-ისტ-ის** (მარად. კან., გვ.,412); **სპეციალ-ისტ-ი** (ძალ., გვ., 188); **ფიზიონომ-ისტ-ი** (მარად. კან., გვ.,460);**ავანტიურ-ისტ-ი** (მარად.კან., გვ., 552); **მატერიალ-ისტ-ი** (მარად. კან., გვ., 500);

ასევე ბერძნული წარმოშობისაა აფიქსი“იზმ“, იგი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს. ამ აფიქსით ნაწარმოები რიგი სიტყვები, რომელსამე პირთან

დაკავშირებულ მოძღვრებას აღნიშნავენ. აღნიშნული აფიქსი დასტურდება ჩვენს საკვლევ ტექსტებშიც:

ჰუმან-იზმი (თეთრ. ბაირ., გვ., 307); კრეტინ-იზმი (ნუ გეშ., დედ.,! გვ., 114); ფანატ-იზმი(მარად. კან., გვ., 464); დოგმატ-იზმი (მარად. კან., გვ., 464); რევმატ-იზმი(მე ვხედ. მზ. გვ., 239); კომუნ-იზმი-ს (მზ. ღამ., გვ.,459); კანიბალ-იზმი-ს(კორიდ., გვ., 232); მერკანტილ-იზმი-ის (მზ.ღამ., გვ.,357); პროტექციონ-იზმი-ის (მარად. კან., გვ.,523); არტისტ-იზმი-ით(ნუ გეშ., დედ.,! გვ., 76); მარქს-იზმი-ლენინ-იზმი-ის(თეთრ. ბაირ., გვ., 310); სოციალ-იზმი-ი(მე ვხედ. მზ., გვ., 278);

კიდევ ერთი უხო წარმოშობის აფიქსი რომელიც გვხვდება ნოდარ დუმბაძესთან ესაა „ხანა“, როგორც სათანადო ლიტერატურაშია აღნიშნული, სპარსული სიტყვა და სახლს ნიშნავს. იგი მნიშვნელობით ქართულ „სა-ე“ აფიქსს უტოლდება(შანიძე:1980:145). საკვლევ მასალაში კი შემდეგი ფორმებია დადასტურებული:

ყავახა-ნაში (მზ. ღამ., გვ., 445); ლილა-ხანა(თეთრ. ბაირ., გვ., 394);ჰარამ-ხანა(თემ.ლენგ., გვ., 315);

მაშასადამე, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი, რომ არსებობს უცო წარმოშობის აფიქსები, რომლებთაც მაწარმოებლის ძალა შესწევთ ქართულ ენაშიც. საკვლევ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამგვარ აფიქსთაგან ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში გვხვდება მხოლოდ : „ისტ“, „იზმ“ და „ხანა“, რაც ჩვენი ენის უცხო ენასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

დასკვნები

ამრიგად, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მწერალი საკმაოდ ხშირად მიმართავს სიტყვათწარმოებას, ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს და რამდენადმე ამდიდრებს თავის ნაწარმოებებს.

ცნობილია, რომ ნ. დუმბაძემ ყმაწვილობა სოფელში გაატარა, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ მწერლის შემოქმედებაზე, არამედ საკუთვრივ წერის სტილზე, მანერასა და განსაკუთრებით ენაზე. დასავლური დიალექტის გარემოცვაში გაზრდილი მწერალი, თავისუფლად აზავებს ერთმანეთთან ცოცხალ მეტყველებასა და სალიტერატურო ენას. სწორედ ცოცხალი მეტყველების გავლენად უნდა ჩაითვალოს მწერლის შემოქმედებაში არსებული კნინობით-ალერსობითი ფორმების სიუხვე. ავტორის შემოქმედებაში, ამ ფორმათა სიმრავლე მწერლის ენას უფრო ცოცხალს, მარტივსა და უშუალოს ხდის.

განსაკუთრებით ხშირად ავტორი იყენებს „-ა“ სუფიქსს, ეს მაწარმოებელი ყელაზე ხშირად ადამიანის საკუთარ სახელზე დართული გვხვდება, მაგ: „ანზორ-ა“; „ედემიკ-ა“; „ბეჟან-ა“; „რუბენ-ა“. დასახელებული აფიქსი, ტექსტებში გვხვდება საზოგადო სახელებთანაც მაგ: „აბდალ-ა“; „ძამი-ა“;

კნინობითი სახელების საწარმოებლად საანალიზო მასალაში გვხვდება „იკ-ო“ აფიქსიც, ეს სუფიქსიც უმეტეს წილად ანთროპონიმებზე დართული გვხვდება, თუმცა იშვიათად საზოგადო სახელებთანაც არის დამოწმებული: „ძამ-იკო“; „მამ-იკო“; „ბიმ-იკო“.

რაც შეეხება „უნ-ა“, „-ილ“ და „-უკ“ სუფიქსებს ისინი ნაკლებად არის წარმოდგენილი ნოდარ დუმბაძის ენაში. ჩვენ მიერ დამუშავებულ ტექსტებში „-უკ“-აფიქსით ნაწარმოები მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება, კერძოდ: „ნუნ-უკ-ა“. ხოლო, „-ილ“ სუფიქსით ნაწარმოები, ორი ფორმაა წარმოდგენილი, ესაა: „გიგი-ილ-ო“ და „ბაბ-ილ-ო“.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კნინობითი სახელების მაწარმოებელი აფიქსები, იშვიათად გვხვდება, საერთო სურათს ეს ვერ ცვლის და

მინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დუმბაძესთან ამ ჯგუფის სახელები, განსხვავებით სალიტერატურო ენისაგან, უხვად არის წარმოდგენილი.

ნოდარ დუმბაძის ენაში ასევე პროდუქტულობით გამოირჩევა, ქონების სახელები. ვხვდებით ამ ჯგუფის ყველა აფიქსით ნაწარმოებ ფორმებს, მათგან მეტი სიხშირით გამოირჩევა „-იან“ სუფიქსი. აღნიშნული აფიქსი გამოიყენება როგორც ქართული, ისე ნასესხები სიტყვების საწარმოებლად, მაგ: „ვარსკვლავ-იან-ი“; „სისხლ-იან-ი“; „ჩიყვ-იან-ი“; „ჭკვ-იან-ი“; „მოტორ-იან-ი“; „ალფაბეტ-იან-ი“. გვხვდება, როგორც ერთმარცვლიან, ისე ორ და მეტმარცვლიან ფუძეებთან. „-იან“ სუფიქსს შესწევს ძალა კუთვნილებასთან ერთად გამოხატოს რისიმე მიმდევრობაც: „ქრისტ-იან-ი“.

რაც შეეხება სხვა ქონების სახელთა მწარმოებელ აფიქსებს ისინი საკვლევ ტექსტებში, „-იან“ სუფიქსთან შედარებით ნაკლებად გვხვდება.

როგორც საკვლევო მასალის ანალიზმა გვიჩვენა „-ოსან“ სუფიქსს, ქონების გამოხატვის გარდა შეუძლია გამოხატოს რისიმე მატარებლობა, მაგ: „მანდილ-ოსან-ი“; „გვირგვინ-ოსან-ი“, ან გარკვეულ საგანთა სახეობების მწარმოებლად მოგვევლინოს, მაგ: „ფრთ-ოსან-ი“.

„-ოვან“ სუფიქსი ძირითადად ისეთ სიტყვებს აწარმოებს, რომლებიც გავრცელებული ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში იყო და ნაკლებად შესწევს ძალა ახალი ფორმების საწარმოებლად, მაგ: „ჰაერ-ოვან-ი“ ; „ბუნდ-ოვან-ი“ ; „ბაგრატ-ოვან-ი“; „მრავალრიცხ-ოვან-ი“; „კლდ-ოვან-ი“; „ნარიჯ-ოვან-ი“; „ყვავილ-ოვან-ი“.

მასალის ანალიზის დროს შეგვხვდა „-იერ“ სუფიქსიანი ფორმებიც: „ნიჭ-იერ-ი“; „მადლ-იერ-ი“; „სიტყვ-იერ-ი“; „ნოყ-იერ-ი“. აფიქსი გვხვდება კომპოზიტებთანაც: „მრავალჯამ-იერ-ი“; „კეთილსინდის-იერ-ი“; „პირმშვენ-იერ-ი“; ტექსტებში „-იერ“ სუფიქსი ძირითადად არებითი სახელისაგან აწარმოებს ქონების სახელებს, მაგ: „ძლ-იერ-ი“; „ღონ-იერ-ი“; „წეს-იერ-ი“; „ბედნ-იერ-ი“;

დუმბაძის შემოქმედებაში კიდევ უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება „-ედ“ და „-ა“ სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები. „-ედ“ აფიქსი, თანამედროვე ქართულში მკვდარ სუფიქსადაა მიჩნეული, ამიტომ ასეთი სურათი არცაა გასაკვირი. თუმცა

მწერლის ენაში გვხვდება ახალ ნაწარმოები ფორმებიც, მაგ: „პარტუჯრ-ედ-ი“; „უჯრ-ედ-ი“; „ოთხკუთხ-ედ-ი“; „ათწლ-ედ-ი“; „გან-ედ-ი“.

რაც შეეხება „-ა“ სუფიქსს, იგი გვხვდება როგორც მარტივფუძიან, ისე რთულფუძიან სახელთა მწარმოებლად: „ცხვირ-ა“; „ქერ-ა“; „ორპირ-ა“; „სამფეხ-ა“; „სამწვერ-ა“; „ცალპირ-ა“; „ოთხთვალ-ა“.

საკვლევ ტექსტებში, ქონების სახელებზე დაკვირვებას, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ნაწარმოებ სახელებში, რაიმე განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა და ძირითადად მიჰყვება სალიტერატურო ენას. რაოდენობრივი თვალსაზრისით კი ქონების მწარმოებელთა შორის, ყველაზე ხშირად „-იან“ სუფიქსი გვხვდება.

უქონლობის შინაარსის გამოსახატავად, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში უფრო ხშირად ვხვდებით „უ-ო“ აფიქსს, შედარებით იშვიათად კი - „უ-ურ“ კონფიქსს. „უ-ო“ აფიქსი გვხვდება როგორც ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვათა მწარმოებლად, გამოყენებულია აგრეთვე რთულ და მარტივ ფუძეებთან. ეს მწარმოებელი, უქონელ სახელებს, ძირითადად არსებითი სახელებისაგან აწარმოებს, მაგ: „უ-მარილ-ო“; „უ-აზრ-ო“; „უ-ნომრ-ო“ ; „უ-მწიკლ-ო“; „უ-მზე-ო“; „უ-სახ-ო“; „უ-დან-ო“; „უ-საყელ-ო“; „უ-პატრონ-ო“. თუმცა, ვხვდებით ზედსართავისაგან ნაწარმოებ უქონლობის სახელებსაც მაგ: „უ-ლამაზ-ო“; „უ-კმაყოფილ-ო“.საანალიზო მასალაში გვხვდება ნასესხები სიტყვებისგან ნაწარმოები შემდეგი უქონლობის სახელები: „უ-სტიპენდი-ო“; „უ-შტატ-ო“; „უ-შოფრ-ო“; „უ-მარკ-ო“; „უ-პომად-ო“; „უ-აპარატ-ო“.საკვლევ მასალაში გამოვლინდა საკუთარი სახელები, რომლებზეც დართულია „უ-ო“ კონფიქსი: „უ-კუკარაჩ-ო-დ“; „უ-ბეგლარ-ო-დ“.

უქონლობის გამოსახატავად გამოიყენება „უ-ურ“ აფიქსიც, თუმცა იგი უფრო პროდუქტული ძველ ქართულში იყო და შედარებით ნაკლებად გვხვდება საკვლევ ტექსტებში. ეს აფიქსი მხოლოდ ქართლ სიტყვათა საწარმოებლად გამოიყენება და ამასთან ძირითადად ერთმარცვლიან სიტყვებთან არის დამოწმებული, მაგ: „უ-დღე-ურ-ი“; „უ-ცნა-ურ-ი“; „უ-დაბ-ურ-ი“; „უ-გემ-ურ-ი“; „უ-წმაწ-ურ-ი“; „უ-ნებ-ურ-ი“; „უ-წვერ-ულ-ი“; „უ-ბედ-ურ-ი“.

წარმომავლობის მაწარმოებელ აფიქსთაგან ყველაზე აქტიურად გამოიყენება „-ელ“ სუფიქსი, იგი ადამიანის წარმომავლობას გამოხატავს მაგ: „ქართველ-ი“; „გერმან-ელ-ი“; „მესოპოტამი-ელ-ი“; „ტანგიკ-ელ-ი“ ; „აზერბაიჯან-ელ-ი“; „ამერიკ-ელ-ი“; „ებრა-ელ-ი“; „სამგორ-ელ-ი“; „გუთურ-ელ-ი“; „ბათუმ-ელ-ი“. „-ელ“ აფიქსი მიმდევრობის გამოსახატავადაც გამოიყენება, მაგ: „წითელარმი-ელ-ი“. აღნიშნული სუფიქსით გამოხატულია ამა თუ იმ უბნის მცხოვრებლებთა წარმომავლობაც, მაგ: „ვერ-ელ-ი“; „ვაკ-ელ-ი“; „ნახლოვკ-ელ-ი“; „სოლოლაკ-ელ-ი“; „სვანეთისუნ-ელ-ი“; „ბაგ-ელ-ი“.

არაადამიანთა სადაურობის საწარმოებლად ყველაზე ხშირად გვხვდება „ურ/ულ“ აფიქსი: „ბომ-ურ-ი“; „ჰინდ-ურ-ი“; „თუმ-ურ-ი“ „ჩეხ-ურ-ი“; „ტეხას-ურ-ი“. ზოგადად „-ურ“ სუფიქსი გამოიყენება გვართა წარმოებაშიც, საკვლევ მასალაში შეგვხვდა ამ აფიქსით ნაწარმოები ერთადერთი გვარი, კერძოდ: „წიკლა-ურ-ი“. აღნიშნული სუფიქსი გამოიყენება მიმდევრობის გამოსახატავადაც, მაგ: „ფაშისტ-ურ-ი“; „კაპიტალისტ-ურ-ი“; „სოციალისტ-ურ-ი“. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში „-ეთ“ და „-ის“ სუფიქსებზე დაბოლოებულ სახელებს მოკვეცილი აქვთ დაბოლოება და პირდაპირ ფუძეზე დაერთვით სადაურობის მაწარმოებელი აფიქსი: „კახ-ურ-ი“; „თუმ-ურ-ი“; „ინდ-ურ-ი“. „-ურ“ სუფიქსს რისიმე თვისების გამოხატვაც შეუძლია, სათანადო საგანთან მიმართებით: „მეფ-ურ-ი“; „კაც-ურ-ი“; „ადამიან-ურ-ი“; „წით-ურ-ი“; „დედაკაც-ურ-ი“. ვხვდებით „-ურ“ აფიქსის დისიმილირებულ ფორმასაც : „ქართ-ულ-ი“; „გერმან-ულ-ი“; „არაბ-ულ-ი“; „ეტრუსკ-ულ-ი“; „სამგორ-ულ-ი“. ცოცხალ მეტყველებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც „-ურ“ აფიქსით ადამიანის წარმომავლობა გამოხატული, ჩვენს საანალიზო მასალაში კი, ასეთი ერთადერთი ფარმო დადასტურებული: „-აუ, გურ-ულ-ი ხარ?“

ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის გამოსახატავად შედარებით იშვიათად ვხვდებით „-იურ“ სუფიქსს, მაგ: „ზეც-იურ-ი“; „ფილოსოფ-იურ-ი“; „ეპიდემ-იურ-ი“; „ღვთ-იურ-ი“; „ონკოლოგ-იურ-ი“. ამ სუფიქსის ძირითადი ფუნქცია, საკვლევ მასალაში არაადამიანის სახელთა სადაურობა- წარმომავლობის ჩვენებაა, თუმცა გვხვდება თვისების ან მსგავსების გამომხატველადაც მაგ: „მშობლ-იურ-ი“.

შედარებით მცირე რაოდენობით ვხვდებით აგრეთვე „-ეულ“ აფიქსს. ამ აფიქსით ძირითადად პირთაგან წარმომავლობაა გამოხატული და როგორც წესი ნათესაობითი ბრუნვის ფორმის სახელებს დაერთვის, მაგ: „მამის-ეულ-ი“; „დედის-ეულ-ი“; „მირანდუხტი-ეულ-ი“; „შორ-ეულ-ი“.საკვლევ ტექსტებში ეს აფიქსი კრებითობის გამოხატვის ფუნქციითაც არის წარმოდგენილი, მაგ: „ბეწვ-ეულ-ი“; „ფხალ-ეულ-ი“; „თეთრ-ეულ-ი“; „ბოსტნ-ეულ-ი“.ეს მაწარმოებელი გვხვდება როგორც მარტივ ისე რთულ ფუძეებთან და მისი ძირითადი ფუნქციაა წარმომავლობის გამოხატვა. საკვლევ მასალაში ეს აფიქსი ერთ შემთხვევაში სახეცვილი გვხვდება, კერძოდ: „დედის-ოულ-ი“.

რაც შეეხება უკანასკნელ წარმომავლობის მაწარმოებელ „დელ“ აფიქსს, იგი საკვლევ ტექსტებში ძირითადად დროის აღმნიშვნელ სახელებთან შეგვხვდა მაგ: „დღევან-დელ-ი“; „წლევან-დელ-ი“; „გუშინ-დელ-ი“; „მაშინ-დელ-ი“; „ეხლან-დელ-ი“ და ამ აფიქსით ნაწარმოები ფორმები ძირითადად წარმომავლობა -როდინდელობას გამოხატავენ.

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში საკმაოდ პროდუქტულად გვხვდება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსებიც. განყენებული შინაარსის გამოსახატავად უფრო ხშირად ავტორი მიმართავს „-ობა“ სუფიქსს. ტექტებში შეგვხვდა არსებითი სახელებისაგან „-ობა“ სუფიქსით ნაწარმოები უამრავი ფორმა, მაგ: „ყრომ-ობა“; „კაც-ობა“; „ბავშვ-ობა“; „სტუდენტ-ობა“; „ბიჭ-ობა“; „გმირ-ობა“; „ადამიან-ობა“; „მეგობრ-ობა“.ეს აფიქსი გვხვდება როგორც მარტივი ფუძეების, ისე რთული ფუძეების მაწარმოებლადაც, მაგ : „ყმაწვილკაც-ობა“, „თავმოყვარე-ობა“; „გვირაბთმშენებლ-ობა“; „კაცთმოყვარე-ობა“; „ცნობისმოყვარე-ობა. ნოდარ დუმბაძეს პროფესიის გამომხატველი სახელებისაგან აქვს ნაწარმოები განყენებული სახელები, მაგ : „ფოსტალიონ-ობა“; „მესაზღვრე-ობა“; „ექიმ-ობა“; „კაპიტნ-ობა“.ვხვდებით ხელახალი წარმოების შემთხვევებსაც, მაგ: „უ-შაქრ-ობა“; „უ-სამართლ-ობა“; „ჯარ-იან-ობა“; „პირ-იან-ობა“; „თანასწორუფლებ-იან-ობა“.საკვლევ მასალაში გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებსაც ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში, აღნიშნული აფიქსი მოქვეყნილი სახით აქვთ დართული, მაგ:

„ახალგაზრდ-ობ-ის“; „კაცობრი-ობ-ის“; „მარადის-ობ-ის“; „ზრდილ-ობ-ის“; „ჭიდა-ობ-ის“ .

მწერლის ენაში ასევე საკმაო რაოდენობითაა წარმოჩენილი „სი-ე“ აფიქსიანი ფორმები: „სი-ცოცხლ-ე“; „სი-ფრთხილ-ე“; „სი-ცივ-ე“; „სი-სულელ-ე“; „სი-ნათლ-ე“; „სი-ბნელ-ე“; „სი-მწარ-ე“. საანალიზო მასალაში „-ილ“-ზე და „-ელ“-ზე დაბოლოებულ სახელებს, ბოლო სუფიქსები მოკვეცილი აქვს და პირდაპირ ფუძეზეა დართული „სი-ე“ კონფიქსი, მაგ: „სი-გრძ-ე“; „სი-ცხ-ე“; „სი-კეთ-ე“; „სი-ვრც-ე“. მწერლის ენაში შეგვხვდა მაგალითები, სადაც „ფერის“ აღმნიშვნელი სახელისგანაა ნაწარმოები განყენებული შინაარსის გამომხატველი ფორმები, მაგ: „სი-წითლ-ე“; „სი-მწვან-ე“; „სი-შავ-ე“; „სი-ლურჯ-ე“; „სი-თეთრ-ე“. საანალიზო მასალაში რამდენიმე ფორმის მაწარმოებლად, ნაცვლად „სი-ე“ კონფიქსისა, გვხვდება „სი-ო“, მაგ: „სი-ტკბ-ო“; „სი-თბ-ო“; „სი-სხ-ო“.

შედარებით მცირე ოდენობით გვხვდება „-ება“ აფიქსით ნაწარმოები ფორმები: „ხელოვნ-ება“; „შემოქმედ-ება“; „საოცრ-ება“; „ბედნიერ-ება“; „შთაგონ-ება“; „საოცრ-ება“; „საკუთრ-ება“. აღნიშნული სუფიქსი „-იერ“-ზე დაბოლოებულნი ზედსართავებისგანაც აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, მაგ: „ბედნიერ-ება“; „მშვენიერ-ება“; „მეცნიერ-ება“; „ცნობიერ-ება“; „ქვეყნიერ-ება“.

დანიშნულების სახელების მაწარმოებელთაგან ავტორი აქტიურად იყენებს „სა-ე“ აფიქსს, მაგ: „სა-ქათმ-ე“; „სა-ჯიშ-ე“; „საა-თვალ-ე“; „სა-ქაღალდ-ე“; „სა-მელნ-ე“; „სა-ყურ-ე“. „სა--ე“ კონფიქსით ნაწარმოებ სახელებს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში, ძირითადად დაკარგული აქვთ საზღვრულის გაგება და გაარსებითებული არიან, მაგ: „სა-სიმინდ-ე“; „სა-კინძ-ე“; „სა-ციმბირ-ე“. თუმცა, ტექსტებში გაარსებითებული დანიშნულების სახელების გვერდით გვხვდება, ისეთი ფორმებიც რომელთაც ზედსართავის გაგება არ დაუკარგავთ, მაგ: „სა-ხაჭაპურ-ე ფქვილი“; „სა-ბუხრ-ე კიბე“; „სა-მკერდ-ე ნიშანი“.

ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში, „სა--ო“ აფიქსით ნაწარმოები ფორმები ძირითადად ზედსართავი სახელებია, მაგ: „სა-პასპორტ-ო მაგიდის“; „სა-ხალხ-ო კომისარიატის“; „სა-ბავშვ-ო ბაღი“; „სა-შემოდგომ-ო გამოცდა“; „სა-გუბერნი-ო ციხე“.

დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსებიდან ყველაზე იშვიათად გვხვდება „სა--ურ“ აფიქსი. საანალიზო მასალაში ამ აფიქსით ნაწარმოები ერთეული ფორმები დადასტურდა: „სა-ფეხ-ურ-ი“; „სა-ხელ-ურ-ი“; „სა-განძ-ურ-ი“; „სა-კვამ-ურ-ი“.

მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი საკმაოდ ნაყოფიერად იყენებს, წინა ვითარების მაწარმოებელ აფიქსებსაც. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში გვხვდება როგორც „ნა-არ“ აფიქსიანი ფორმები, მაგ: „ნა-ყვავილ-არ-ი“; „ნა-ავადმყოფ-არ-ი“; „ნა-ჯაფ-არ-ი“; „ნა-ოფლ-არ-ი“; „ნა-ცოდვ-არ-ი“; „ნა-წვიმ-არ-ი“; „ნა-ჩუქ-არ-ი“. ისე, „ნა-ევ“ აფიქსით ნაწარმოები სახელები, მაგ. „ნა-კვალ-ევ-ი“; „ნა-ლაპარაკ-ევ-ი“; „ნა-ყან-ევ-ი“; „ნა-ქალაქ-ევ-ებ-ი“; „ნა-შუადღ-ევ-ი“. ანალიზის დროს შეგვხვდა „ნა-არ“ აფიქსის დისიმილირებული ვარიანტი, „ნა-ალ“, მაგ: „ნა-ზამთრ-ალ-ი“. ნოდარ დუმბაძეს „ნა-არ“ აფიქსით გეოგრაფიული სახელი „ნა-ფიც-არ-ა“-ც აქვს ნაწარმოები.

მწერლის შემოქმედებაში, გვხვდება ხელობის სახელებიც. ამ ფორმათა საწარმოებლად ავტორი იყენებს, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ორივე აფიქსს, კერძოდ: „მე-ე“ და „მე-ურ“. ამათგან მეტად პროდუქტულია „მე-ე“, მაგ: „მე-ეზოფ-ე“; „მე-ჯღან-ე“; „მე-ისტორი-ე“; „მე-ყავ-ე“; „მე-საათ-ე“; „მე-თუთუნ-ე“; „მე-საზღვრ-ე“; „მე-ხობ-ე“. რაც შეეხება მეორე მაწარმოებელს, იგი დუმბაძს ენაში იშვიათად გვხვდება, ავტორს „მე-ურ“ აფიქსით ნაწარმოები მხოლოდ რამდენიმე ფორმა აქვს გამოყენებული, მაგ: „მე-ჩონგ-ურ-ე“; „მე-ზღვა-ურ-ი“; „მე-ბად-ურ-ი“; „მე-თა-ურ-ი“.

მრავლადაა წარმოდგენილი რიგობითი რიცხვითი სახელებიც, ამასთან გვხვდება როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძიანი ფორმები, მაგ: „მე-ორ-ე“; „მე-სამ-ე“; „მე-ოთხ-ე“; „მე-ათ-ე“; „ოცდა-მე-ორ-ე“; „ოთხმოცდა-მე-ათ-ე“.

ხოლო წილობით რიცხვთ სახელებს რაც შეეხება, ამ ფორმათაგან ერთადერთი სიტყვა იყო წარმოდგენილი საანალიზო მასალაში და ეს ფორმაა: „მე-ოთხ-ედ-ი“.

ავტორი ასევე აქტიურად გამოიყენებს წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელებსაც.

მწერლის ენაში გვხვდება დანიშნულების აფიქსები, რომელთა საშუალებითაც ნაწარმოებია ტოპონიმები, მაგ: „სა-მეგრელ-ო“, „სა-ჯავახ-ო“. გარდა

დანიშნულების აფიქსებისა, ტოპონიმთა წარმოებაში სხვა მაწარმოებელი აფიქსებიც იჩენს თავს, მაგ: „ნა-ფიც-არ-ა“, „ნა-საკირ-ალ-ი“.

საანალიზო მასალაში წყება გეოგრაფიული სახელები „ის „ დაბოლოებიანი ნაგენეტივარი სახელებია, მაგ: „თბილ-ის-ი“, „მანგლ-ის-ი“.

დადასტურდა ერთადერთი გეოგრაფიული სახელი რომელიც წამომდგარია, იმ გვარიდან რომელიც სახლობს(თუ სახლობდა) მოცემულ ტერიტორიაზე, ეს სოფელია „გურჯაანი“.

ამ ტიპის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია -ეთ სუფიქსი, რომელიც ფუძეს პირდაპირ დაესმის, მაგ: „მცხ-ეთ-ა“, „თუმ-ეთ-ი“ და სხვა. გარდა ამ ფორმებისა გვხვდება ისეთი ტოპონიმები, რომლებშიც „-ეთ“ მაწარმოებელი აფიქსი გაძლიერებულია „სა-“, პრეფიქსით, მაგ: „სა-ფრანგ-ეთ-ი“, „სა-სომხ-ეთ-ი“ .

მწერლის ენაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ავტორი ასევე ნაყოფიერად იყენებს უფროობითი ხარისხის ფორმებსაც: „უ-შესანიშნავ-ეს-ი“; „უ-კოლორიტ-ეს-ი“; „უ-ნეტარ-ეს-ი“; „უ-სათნო-ეს-ი“; „უ-ზენა-ეს-ი“; „უ-სიმპათიურ-ეს-ი“; „უ-ტურფ-ეს-ი“; „უ-კეთილშობილ-ეს-ი“; „უ-სპეტაკ-ეს-ი“.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, „-ნარ“ აფიქსიანი ორად ორი ფორმაა დადასტურებული: „ნოდ-ნარ-ი“; „ბუჩქ-ნარ-ი“. როგორც ჩანს, კლასიკოსი მწერლის შემოქმედებაში ამ აფიქსმა დიდად ვერ დაიმკვიდრა ადგილი.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მწერლის ენაში გვხვდება უცხო წარმოშობის აფიქსებიც. ამასთან საანალიზო მასალაში ვხვდებით მხოლოდ „ისტ“, „იზმ“ და „ხანა“, აფიქსებს, მაგ: „ტროცკ-ისტ-ი“; „მაუზერ-ისტ-ი“; „ეკონომ-ისტ-ი“; „ილუზიონ-ისტ-ი“; „კანიბალ-იზმ-ი“; „ჰუმან-იზმ-ი“; „არტისტ-იზმ-ი“; „ყავა-ხანა“; „ჰარამ-ხანა“; „ლილა-ხანა“. ამ ფორმათა გამოყენება, სხვა ენებთან მჭიდრო კავშირზე მეტყველებს.

შემოკლებათა განმარტება

1. ასტვან! ინჩუ ჰამარ! - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
2. ბოშ., - ბოშები - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
3. გაუმარჯ.გიგილ. - გაუმარჯოს გიგილოს - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
4. დიდრ., - დიდრო - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
5. „ვაშ. სწრაფ. იაფ. და ...“ - „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და...“ - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
6. - თემ.ლენგ., - თემურლენგი - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
7. თეთრ. ბაირ., - თეთრი ბაირადი - დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად, წიგნი მეორე, თბ., 2005.
8. კუკარ., - კუკარაჩა - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
9. კორ., - კორიდა - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
10. ლიტ. ძიებ.ომარ. ხალ., - ლიტერატურული ძიებანი ომარ ხალიანი - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
11. მზ. - მზე - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
12. მე, ბებ., ილიკ. და ილარ., - მე, ბებია, ილიკო და ილარიონი- დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 2005.
13. მე ვხედ. მზ., - მე ვხედავ მზეს - დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 2005.
14. მზ. ღამ., - მზიანი ღამე - დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 2005.

15. მარად. კან., - მარადისობის კანონი- დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად , წიგნი მეორე , თბ., 2005.
16. მეორ.გასაზრ.ღმერთ., - მეორე გასაუბრება ღმერთთან - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
17. მონატ.,- მონატრება - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
18. ნუ გაად., - ნუ გაადვიძებ - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
19. ნუ გეშ., დედ.,! - ნუ გეშინია, დედა! - დუმბაძე ნ., თხზულებანი ხუთ წიგნად , წიგნი მეორე , თბ., 2005.
20. სასაფ., - სასაფლაო - ნუ გაადვიძებ - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
21. სააგარაკ. ნოვ., - სააგარაკო ნოველები - ნუ გაადვიძებ - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
22. სისხლ., - სისხლი - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
23. უმად.,- უმადური - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
24. -ქალაქ. მიმინ.რა უნდ., - ქალაქში მიმინოს რა უნდა - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
25. ყანწ., - ყანწი - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
26. ძაღლ., - ძაღლი -დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
27. ხაზარ., - ხაზარულა- დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.
28. ჰელად.,- ჰელადოსი - დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, თბ., 1990.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული ა., – „ ზმნური და სახელური ფუძედქმანადობის პრობლემა ქართველურ ენებში“, თბ., 2001.
2. გეგუჩაძე ლ., -„ქართული ენა“, თბ., 1997.
3. გაბეჩავა გ., - „ ქართული სიტყვათწარმოება და მისი სწავლება სკოლებში“, თბ., 1971.
4. ზურაბიშვილი თ., – „ ხარისხი ქართველურ ენებში“, თსუ შრ., თბ., 1956.
5. თოფურია ვ., – შრომები III , საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1979.
6. ინგოროყვა პ., – „ილია ჭავჭავაძე“ (ბიოგრაფიული ნარკვევი) თხზულებათა სრული კრებული, I, თბ., 1951.
7. კვაჭაძე ლ., – „ქართული ენა“ , I, თბ., 1981.
8. ლექსიკონი ქართული -
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>, 11:9.
9. მელიქიშვილი ნ., – „სიტყვათწარმოება იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთას“ ქართულ თარგმანში“, თბ., 1981.
10. მანჯგალაძე ალ., - „ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში“ იკე, v, 1953.
11. ოსიძე ევ., – „მიმღობის წარმოება ქართულში“, თბ., 1957.
12. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ონლაინ ქრისტიანულ ლექსიკონი -
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=2745>, 11:33.
13. უცხო სიტყვათა ლექსიკონი
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=41730> -, 10:58.
14. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი-
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=78877> , 11:02.
15. ფოჩხუა ბ., – „ ქართული ენის ლექსიკოლოგია“, თბ., 1974.
16. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი -<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=1331> , 11:04.

17. ღლონტი ალ., – „ქართული ლექსიკოლოგია“, თბ., 1971.
18. შანიძე ა., – „ ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, I, თბ.,1989.
19. შანიძე ა., – „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, III, თბ., 1980.
20. შალამბერიძე გ., – „ სიტყვათწარმოების ზოგიერთი საკითხი ჭავჭავაძის ენაში“, თბ., 1966.
21. ჩიქობავა არნ., – „ სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბ., 1942.
22. ცხადაძე ბ., – „ აბსტრაქტულ სახელთა ურთიერთობისათვის ქართულში“, თბ., 1983.